ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 6 (1380)

12-19 მარტი, 1994 წ.

## რამ «გააბრიყვათ» ეს ამერიკელები

ქართულმა დამოუკიდებელმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ყოფილი ვიცე-პრემიერი ბატონი რომან გოცირიძე მიწვეული იქნა ამერიკაში, მსოფლიო სავალუტო ბანკის მრჩევლის თანამდებობაზე და ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ლექციების ციკლსაც წაიკითხავს.

მიწვევა მიწვევაა, მაგრამ ასეთი მიწვევა მართლაც რომ დასაფასებელია: კვირაში 3 500 დოლარი ხელფასად, სასამსახურო მანქანა, მოახლე ქალი, სახარჯო ფულიც კი და რა თქმა უნდა, ამერიკელთათვის ჩვეული გულითადი მასპინძლობა.

ამერიკელები გონიერებით, ჭკუამახვილობით მსოფლიოში განთქმული ხალხია, მაგრამ ამჯერად რამ „გააბრიყვათ" მართლაც რომ საკითხავია — ჩვენი მთავრობისგან დაწუნებულ-ათვალისწუნებული ყოფილი ვიცე-პრემიერი ყელგამოწევით რომ გადაიპატიჟეს თავისთან და ლამის ამერიკის პრეზიდენტის ჯამაგირისხელა ხელფასიც დაუნიშნეს.

აქ, როგორც იტყვიან, მართლაც რაღაცაშია საქმე.

თუმცა, მიხვედრილი მკითხველი ადვილად მიხვდება რაშია საქმე, ანუ იმას, რომ ჩვენში შინაურ მღვდელს შენდობა მართლაც არა აქვს და ალბათ არც ექნება ახლო მომავალში.

რაც შეეხება ბატონ რომან გოცირიძეს, იგი მხოლოდ ერთი თვით დათანხმდა იმუშაოს აღნიშნულ თანამდებობაზე.

## მონებით ვაჭრობა

ველური მკვლელების — აფსუებისა და მათი დაქირავებულების მიერ აოხრებული მხარიდან ყოველდღე ისმის შემზარავი ამბები. სულ ახლახან გალის რაიონიდან ლტოლვილებმა საშინელი ცნობა მოიტანეს: ენგურის ხიდთან აფსუებმა ადამიანით ვაჭრობა გააჩაღეს.

საქმე აქ შემდეგნაირადაა დაყენებული.

ბანდიტებს დატყვევებული ჰყავთ ადგილობრივი მცხოვრებნი, იარაღის ქვეშ ამუშავებენ მათ ციტრუსების პლანტაციებზე. საკუთარ მიწა-წყალზე დატყვევებულ და მონად ქცეულ ადამიანს პატრონი თუ გამოუჩნდა ენგურის გაღმა, აფსუა აბრაგები ჰყიდიან ასეთ ტყვეს ერთ მილიონ რუსულ მანეთად.

რა არის ეს?

ფორმალურად, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სახეზეა ადამიანის გატაცება გამოძალვის მიზნით, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად. სინამდვილეში ეს მონებით ვაჭრობაა, რაც გაუგონარი დანაშაულია არა მარტო ქართველი ერის, არამედ საერთოდ კაცობრიობის წინაშე.

ალექსანდრე შანავა,
გალის მკვიდრი

## გაბოროტებულთა ვენდეტა

10 მარტის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ბოლშევიკების ფრაქციამ ჩააგდო გარდაცვლილი დეპუტატის, სახალხო ფრონტის წევრის ზურაბ გოგიას ადგილმონაცვლის ბატონი გურამ ბერიშვილის კანდიდატურა.

რა შეიძლება ეწოდოს უმრავლესობის იმ წარმომადგენელთა საქციელს, თუ არა გაბოროტებულ ადამიანთა ქმედება, რომლებმაც გაინაღდეს რა СНГ-ში შესვლა, ახლა მორალურად დამარცხებულნი, ბოღმას ასეთი ხერხებითა და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით იქარვებენ.

მ. მაისურაძე

პარლამენტი

## სიტყვა, რომელიც არ მათქმევინეს

ბოდიშს მოვუხდი პარლამენტის წევრებს, და ჩემს გამოსვლას რადიომსმენელებისადმი მიმართვით დავიწყებ.

ძვირფასო რადიომსმენელებო, ვიმედოვნებ ჩემი ხმა თქვენამდე აღწევს:

გესმით, ალბათ, თუ რა სიტუაციაა დარბაზში. თქვენ ალბათ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ამ ხმაურს ვიწვევთ ჩვენ, — ამ საკითხისადმი ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები. მართალი ბრძანდებით, ეს მართლაც ასეა. გვერწმუნეთ, ეს არ არის გამოწვეული ჩვენი გემოვნებით ან ასეთი საქციელის მიმართ ჩვენი სიმპათიებით; ან იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია არგუმენტები. ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ეს სხდომა არსებული კანონმდებლობის აღმაშფოთებელი დარღვევებით მიმდინარეობს: არ გვაძლევენ საშუალებას ჩვენი აზრი გამოვთქვათ მიკროფონში, განუწყვეტლივ ირღვევა პროცედურა, რეგლამენტი, ჩვენს მიერ მიღებული კანონები; მიმდინარეობს დეპუტატებზე უხეში ზემოქმედება, გაისმის მუქარა ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების მიმართ, შენობა გარშემორტყმულია ავტომატებიანი და ხელკეტებიანი პოლიციელებით და უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებით, უმოწყალოდაა დარბეული მშვიდობიანი აქცია. მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ დარბაზში მზადდება: ეჭვქვეშ დგას ერის მიერ რეფერენდუმით ერთხმად მიღებული დამოუკიდებლობა; აქ, ამ დარბაზში თავისუფლებას ებრძვიან, ამიტომაც მოგვიტევეთ, თუ ჩვენი აზრის გამოხატვის ფორმა ყოველთვის აკადემიური არ არის და გაჩუმება არ შეგვიძლია.

ახლა კი დარბაზს დავუბრუნდები და ორ სიტყვას არგუმენტებზე მოგახსენებთ.

უმრავლესობას ერთი, მთავარი არგუმენტი, როგორც იტყვიან ჯოკერივით უჭირავს ხელში და ოპოზიციის ყველა კოზირს თვალისდაუხამხამებლად და უმოწყალოდ ჭრის.

— საქართველოს ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლია; საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია იმიტომ, რომ... იმიტომ რომ არ შეუძლია და იმიტომო.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

## დღეს ნომერში:

ცუდი ჯარი ცუდი მთავრობის შედეგია
ხათუნა კვესელავა
(მე-2 გვერდი)

სტუმრები ვართ თუ არა მამა-პაპათა მიწაზე
ცხინვალის პრესა
(მე-4 გვერდი)

დიადი გარდაქმნა
ზბიგნევ ბჟეზინსკი
(მე-5 გვერდი)

ბოლშევიკთაგან დევნილი ქართველები უცხოეთში
სადაურსა სად წაიყვან?
(მე-7 გვერდი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსნის საქველმოქმედო ფონდის“ მიმართვა

„აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსნის საქველმოქმედო ფონდის“ სახელით მოგმართავთ მშობელთა დიდი ჯგუფი. ჩვენი შვილების ბედი დღემდე უცნობია, მათი რაოდენობა კი რამდენიმე ასეულს აჭარბებს. ჩვენ, მშობლები დიდ იმედებს ვამყარებდით აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე გამართულ მოლაპარაკებებზე ჟენევაში, მაგრამ მოლაპარაკების შედეგებმა ჩვენი იმედი არ გაამართლა. მიგვაჩნია, რომ ყველაფერი მხოლოდ სურვილების კონსტატაციად დარჩა. რაც შეეხება უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, დაღუპულთა გადმოსვენებას, საფლავების მოკვლევას ან სამხედრო ტყვეთა საკითხს ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემებს გვერდს უვლის ჩვენი პრესა და ტელევიზია, ამ თემაზე სამწუხაროდ არაფერი იწერება. ეს შეუწყნარებელი გულგრილობა და უყურადღებობა, ჩვენს ბუნებრივ აღშფოთებას იწვევს. ჩვენ ვთვლით, რომ ლტოლვილთა დაბრუნება აუცილებელია, აფხაზეთის სტატუსიც შესამუშავებელია, მაგრამ ამას დრო და მყარი გარანტიები სჭირდება, მაგრამ რა დააშავეს ჩვენმა შვილებმა, მათ ხომ თავისი ვალი ბოლომდე მოიხადეს ამ საყოველთაო განუკითხაობის, ღალატის და დაბნეულობის ვითარებაში, ახლა კი მათი ბედი არავის აღელვებს. თვითმფრინავში ჩაფერფლილი 90-მდე მებრძოლის გვამი უკვე მიკვლეულია, მაგრამ მოსაძებნია არაერთი დაღუპული მებრძოლის საფლავი. მაგალითად, უცნობია ბოლნისიდან 14, ასურეთიდან 8, გორიდან, კასპიდან, დუშეთიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან აფხაზეთში დაღუპულ მებრძოლთა საფლავები. 27 სექტემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობას ბოლომდე იცავდა 25 მებრძოლი. მათი ბედი დღემდე უცნობია. ყველა დაღუპული ერთნაირად გასაპატიოსნებელია, ჩვენ კი ჩვენი შვილების საფლავებიც არ ვიცით, არც მათი მოკვლევის საშუალება გვაქვს. ჩვენ ჯილდოებს არ ვითხოვთ, იგი ცოცხლებმა მიიღეს, თუმცა ბევრი მათგანი თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა. ჩვენ ვეძებთ დაკარგულ შვილებს, მკვდრებს ან ცოცხლებს. დრო კი არ ითმენს. ამიტომ გთხოვთ ყველას, ფართო საზოგადოებას დაგვიჭირონ მხარი, იქნებ შესაბამისმა სამთავრობო სტრუქტურებმა მოგვაქციონ ყურადღება. ომის დამთავრებიდან უკვე ხუთი თვე გავიდა. დაკარგულ მებრძოლთა ოჯახების უმეტესობა დღემდე არ ღებულობს ხელფასებს, პენსიას, ჰუმანიტარულ დახმარებას. რას გვეტყვიან ამაზე გამგეობის ხელმძღვანელები, სამხედრო ფორმირებათა მეთაურები და სხვა სამთავრობო სტრუქტურები. სამხედრო ფორმირებათა ხელმძღვანელობამ უნდა გამოაქვეყნონ ცნობები იმ მებრძოლთა შესახებ, რომლებიც მათ ფორმირებებში ირიცხებოდნენ და დღეს დაკარგულად ითვლებიან. გახსაკუთრებით აბუჩად ექცევიან მოხალისეთა ოჯახებს, ნუთუ დავიწყდათ მოწოდებები: გვიშველეთ, იარაღით ჩამოდით სოხუმში.

ჩვენი „საქველმოქმედო ფონდი“ აწარმოებს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა აღრიცხვას საქართველოს რაიონებისა და სამხედრო ფორმირებების მიხედვით. კარგი იქნება, თუ სამხედრო ფორმირებებისა და კომისარიატების ხელმძღვანელები ჩვენთან კონტაქტს დაამყარებენ. მათი დახმარებით საქმე უფრო წინ წაიწევს.

ჩვენ, უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილების მშობლები მოვითხოვთ:

1. სამთავრობო მოლაპარაკებების პროცესში ცალკე გამოიყოს და დაუყოვნებლივ დაიწყოს მემორანდუმის №3 პუნქტის განხილვა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ. გაგრძელდეს ტყვეთა გაცვლა, მათი მოკვლევა ინდივიდური წესითაც კი.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ბედის გამოძიების მიზნით გაიხსნას საქ. რესპუბლიკის წარმომადგენლობა ქ. სოჭში და ზუგდიდში.

3. მხარეებმა ტყვეთა გაცვლის პროცესში ჩართონ ე. წ. დამნაშავე პატიმარი ტყვეები პრინციპით ყველა — ყველაზე. ასეთი ამინისტირება ორივე მხარეს დიდ სიკეთეს მოუტანს.

4. მოვითხოვთ, ჩვენი საზოგადოების ორ წევრს საქართველოს ტერიტორიაზე უფასო მგზავრობის ნება დაერთოს და ორი წევრი შეყვანილი იქნას ტყვეთა გაცვლის სამთავრობო კომისიაში.

5. შესაბამისმა სამთავრობო სტრუქტურებმა სასწრაფოდ უზრუნველყონ აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახებისათვის ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების გაცემა, ხოლო ხელისუფლებამ აღნიშნული ოჯახები გაათავისუფლოს კომუნალური გადასახადებიდან და ამასთანავე, გაირკვეს ე. წ. მოხალისეთა სტატუსი.

ჩვენი საზოგადოების საპატიო წევრებად არჩეულები არიან თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, გიგა ლორთქიფანიძე, პარლამენტის წევრი ირინა სარიშვილი, ადამიანთა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე, თავდაცვის მინისტრი გიორგი ყარყარაშვილი.

ჩვენი საქველმოქმედო საზოგადოების ადგილსამყოფელია: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, № 12, ოთახი № 413. ტ.: 36-45-27

ანგარიშის ნომერია საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკის 100 700 606.

საზოგადოებას ვთხოვთ თანადგომასა და მხარდაჭერას.“

„აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსნის საქველმოქმედო ფონდის“ გამგეობა ვ. დობორჯგინიძე, მ. ქათამაძე, ნ. ნარიმანიძე, გ. ექიზელი, ი. ზაალიშვილი, ნ. დაჩიბერიძე და სხვანი.

**10. II. 94 წელი.**

# ცუდი ჯარი ცუდი მთავრობის შედეგია

ქვეყნისათვის, რომელიც არ უვლის თავის ჯარისკაცებს, უცილობლად დგება მომენტი, როცა იგი იძულებული ხდება უცხო ქვეყნის ჯარისკაცებს მოუაროს — ეს ჭეშმარიტება საქართველოში ბოლოდროს განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა. ქართული ჯარის პრობლემებს, მისი ჩამოყალიბების პერსპექტივებს და კიდევ ბევრ, ახლა უკვე მოდაში შემოსულ დაუფიქრებელ ბრალდებებსა და არაერთ კატეგორიულ მოთხოვნას მიეძღვნა მე-11 ბრიგადის ოფიცერთა შეკრება, რომელიც 8 მარტს გაიმართა.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც ამ შეხვედრაზე დაისვა, ქართული ჯარის საბოლოო ჩამოყალიბების საკითხი იყო. დღეს საქართველო ისევ და ისევ ომის საშიშროების წინაშე დგას და ნაკლებად თუ სჯერა ვინმეს, რომ შესაძლებელი იქნება აფხაზეთში დაკარგული ტერიტორიების უბრძოლველად დაბრუნება. შეხვედრაზე ნათქვამის არ იყოს და, მსოფლიო ისტორიაში არავის ახსოვს შემთხვევა, როცა ომში მოგებული ტერიტორიები ვინმეს ბოდიშის მოხდით უკან დაებრუნებინოს. და თუ მსგავსი მოხდა სამაჩაბლოს მაგალითიდან ხომ ყველასათვის ნათელია, რაოდენ წამგებიანია ეროვნებათშორისი შეიარაღებული კონფლიქტების, რასაკვირველია, მხოლოდ მოჩვენებითი მშვიდობიანი მოგვარება. „ქართველი ლტოლვილების დაბრუნებას აფხაზეთში მხოლოდ ქართულ სამხედრო ჩექმას შეუძლია გაუხსნას გზა“ — განაცხადა შეკრებაზე სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალმა გუჯარ ყურაშვილმა. ეჭვგარეშეა, რომ ქართული ჯარი ამჟამად არაბრძოლისუნარიანია. ბრიგადის მეთაურის, დავით თევზაძის თქმით, ახალწვეულთა ომში გაშვება წვრთნის გარეშე შეუძლებელია. გასაკვირი არ არის, რომ მე პირველად გავიგე ე. წ. БМП თურმე ოთხივე მხრიდან ისროდა და ფაქტიურად მიუდგომელი იყო ნაღმსატყორცნისათვის. მაგრამ ასევე უცნობი იყო ეს შიგ მჯდომი ბიჭებისთვისაც, რომლებმაც ბრძოლის დროს ნაღმსატყორცნის დანახვისთანავე მიატოვეს БМП და ბუჩქებს შეაფარეს თავი. არადა, ბუჩქი რომ БМП-ზე უკეთესი მეომარი იყოს, მსოფლიო მილიტარისტული პროგრესი, მშვილდისრის გარდა, წყალში იქნებოდა გადასაგდები. დამეთანხმებით, და ჯარი, სადაც ასეთი ანეკდოტური ეპიზოდები შეიძლება გათამაშდეს, ომს ვერ მოიგებს. ქართულ ჯარს კი თავის საბოლოო სახემდე კიდევ ბევრი უკლია. პერსპექტივები კი ჯერჯერობით არ ჩანს, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ჯარს ელემენტარული მატერიალური ბაზითაც კი. დავით თევზაძის თქმით, „საკვებიც კი კვირიდან კვირამდე საწვალებელია“. საქართველოს მშიერი არმია ჰყავს. თუმცა, საქართველოში დღეს ყველას შია. იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ერთმანეთისგან გმირობას არ ვითხოვთ, ჩვენ არ ვიბრძვით. არადა, აქვს თუ არა საზოგადოებას ზნეობრივი უფლება ბრალი დასდოს ფეტვით, თუთიყუშების საკენკით გამოკვებილ ჯარს დამარცხებაში?

მეორე საკითხი, რომელიც შეკრების მონაწილეებმა განიხილეს, იყო ბოლო დროს გაჩენილი ტენდენცია, შეიარაღებული ძალებისათვის სახელის გატეხვის არაერთი მცდელობა. გარდა იმისა, რომ არავინ იზრუნა ვეტერანთა სოციალურ უზრუნველყოფაზე, არავის უფიქრია გარკვეული იდეოლოგიური ზურგის შექმნაზე მათი დაბრუნების მომენტისათვის. ყოფილ მეომართა სახელის გატეხვაში თავისი წვლილი საინფორმაციო საშუალებებმაც შეიტანეს. ეს, ალბათ, სადღაც სენსაციების სიყვარულით იყო ნაკარნახევი. ზოგჯერ კი მიზანმიმართული საინფორმაციო პოლიტიკა იყო. შეიარაღებული ძალების კომპრომეტირება ცივილიზებულ ქვეყნებში კანონით ისჯება. უდისციპლინო ჯარი კი — ცუდი მთავრობის შედეგია. ბატონ დავით თევზაძის აზრით, ასევე ხელოვნურად იქნა გაბერილი საზოგადოების მიერ ის სამი დაპირისპირება, რომელშიც საქართველოს შეიარაღებული ძალები ფიგურირებს. 1. არმია — საზოგადოება, 2. არმია — უშიშროება და 3. არმია — პოლიცია. თუმცა ამ დაპირისპირების ფსიქოლოგიური მხარე ადვილად ასახსნელია. მორალური კი.... დღეს ნებისმიერი დაჭერილი ჯარისკაცის პოლიციიდან გამოშვება არც მეტი, არც ნაკლები 5 მილიონი ღირს. ბატონ დავითის ინფორმაციით პოლიციაში ნაცემი, ზოგ შემთხვევაში უსაფუძვლოდ დაკავებული ბიჭები რამოდენიმე დღე ფეხზე ვერ დგებიან.

შეკრებაზე ასევე დაისვა ყოფილი თავდაცვის მინისტრის გია ყარყარაშვილის დალატზე ამ ბოლო დროს მას მედიას მიერ გავრცელებული შეუმოწმებელი ინფორმაციის საკითხი. მონაწილეთა თქმით „ყოფილი თავდაცვის მინისტრისათვის წაყენებული ბრალდება მთელი შეიარაღებული ძალების შეურაცხყოფაა“ — აღნიშნა დავით თევზაძემ.

და ბოლოს, მისივე თქმით, საქართველოს ჯარი არაინფორმირებულია. მისთვის არ არის ცნობილი, რას აპირებს სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც თავდაცვის მინისტრის პოსტიც შეითავსა, არ იცის რისთვის ემზადოს, არ იცის „ბოლოს და ბოლოს ვის ბაზაზე უნდა შეიქმნას ნამდვილი ქართული ჯარი“. არმია დღეს უმოქმედოდაა. ხავარაუდოა, რომ კულუარებში მიდის ფარული თამაში, რომელიც მეთაურთათვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

შეკრებამ მიიღო დადგენილება. გაეგზავნოს ოფიცერთა კავშირს მიმართვა, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს რა თავისი უპირატესობით (არადაქვემდებარებული ორგანიზაციაა) მოითხოვოს:

1. მთავრობამ ბოლოს და ბოლოს იზრუნოს ჯარზე, რომელსაც სჭირდება არა ლანძღვამდე მისული კრიტიკა, არამედ მიხედვა, მატერიალური ბაზა და შედეგად დისციპლინა.

2. ყარყარაშვილის საქმესთან დაკავშირებით დაინიშნოს გამოძიება, რომელიც აგრეთვე შეეხება შეიარაღებული ძალების დისკრედიტირების მცდელობების ფაქტებს გლობალურად.

3. სახელმწიფოს მეთაურმა იზრუნოს ჯარზე (თუმცა, ალბათ, ამის შეხსენება მას ვერ უნდა სჭირდებოდეს), გაეცნოს შეიარაღებული ძალების აზრს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ხათუნა კვესელავა

# სიტყვა, რომელიც არ მათქმევინეს

(დასასრული)

რადგან ურუსეთოდ არც სიცოცხლე და არც არსებობა არ შეგვძლებია, რუსული კლასიკური ლიტერატურა მოვიხმოთ დასახმარებლად. ჩეხოვის გმირი ხომ არ გახსენდებათ თავისი გამანადგურებელი არგუმენტით: — „этого не может быть, потому что, этого не может быть никогда“.

პირდაპირ აღმაშფოთებელია ერთ-ერთი დეპუტატის „არგუმენტი“: — საქართველოს მეთაურმა უკვე მოაწერა ხელი საქართველოს СНГ-ში შესვლას და ახლა როგორ შეიძლება ჩვენ იგივე არ გავაკეთოთ და რატიფიკაცია არ მოვახდინოთ, ეს ხომ ორმაგი პოლიტიკა, ორმაგი თამაში იქნებაო, — თუ რაღაც ამგვარი თქვა.

განა ამისთვის გახდით დეპუტატი და ამისათვის აგირჩიათ ხალხმა, სახელმწიფოს მეთაური რასაც გეტყვის, იმას აუწიე ხელი, შენ თვითონ თავი არ გაანძრიო და ყველაფერზე ხმაამოუღებლად აკანტურო.

რა დიდებული ნიმუშია საპარლამენტო აზროვნებისა!

კომუნისტური უზენაესი საბჭოს როგორი გულისამაჩუყებელი ნოსტალგია იგრძნობა ამ გულწრფელ „არგუმენტში“.

რაც შეეხება СНГ-ში შესვლის საწინააღმდეგო არგუმენტებს, ისინი უამრავია და ამის შესახებ სჯობს სახელმწიფოს მეთაურს ჰკითხოთ. მან ეს არგუმენტები ძალიან მწყობრად ჩამოაყალიბა იმ ავადსახსენებელი დღეების დროს ქალაქ სოხუმში, როცა რამოდენიმე სოხუმელი მოქალაქე შევიდა მასთან და СНГ-ში დაუყოვნებლივ შესვლა მოსთხოვა. ამ შეხვედრას სრულიად შემთხვევით მეც შევესწარი.

იქნებ მე მღალატობს მეხსიერება და რამე მეშლება?

თუ ასეა, შემახსენეთ და შემისწორეთ ბატონებო.

სხვათა შორის, იქვე იყვნენ ჩვენი კოლეგები, ბატონი თემურ ჟორჟოლიანი, ბატონი ნოდარ ნათაძე, ბატონი გენო კალანდია. ვფიქრობ, არც ისინი მათქმევინებენ სიცრუეს.

მე არ შევუდგები ახლა იმ მოტივების ჩამოთვლას, სახელმწიფოს მეთაურმა რომ მოიყვანა СНГ-ში შესვლის საწინააღმდეგოდ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს იმ არგუმენტების გრძელი რიგის ნაწილია, ოპოზიციას რომ მოჰყავდა და მოჰყავს.

ერთმა ჩვენმა კოლეგამ გვისაყვედურა: ოპოზიციონერებმა მაშინ ატეხეთ ხმაური, როცა ყველაფერი კარგად წავიდაო. მტერს ვუსურვებდი ისეთ უკეთესობას, ჩვენს თავზე რომ ტრიალებს დღეს. ეს ისეთი სიკარგეა, გალაქტიონი რომ ამბობს:

„ყველაფერი არის ძლიერ კარგად.
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“

და მე მახსენდება გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთი, თითქოსდა მეორეხარისხოვანი გმირი, ავაზაკების, მკვლელების, მომხვეჭელების და უზნეო ადამიანების ქალაქის კამორას ღამის დარაჯი, რომელსაც ღამ-ღამობით გარეგარე მოსიარულე ცვლის ნაცვლად ორი, სიგრძეზე დადებული საბანგადაფარებული მუთაქა უდევს საწოლში, და, მაინც, ყოველ საათში ერთხელ, დამაჯერებელი ომახიანობით გაჰყვირის: — „ღამის ესა და ეს საათია და ყველაფერი გენიალურადაა!“

დიახ, ბატონებო! საღამოს ესა და ეს საათია, მომხვეჭელობის, ტერორიზმის, უზნეობის, მამულზე მეტად საკუთარი სკამის სიყვარულის და მონური სულის აღზევების საათია საქართველოში და ყველაფერი, სულყველაფერი გენიალურადაა!

კარგად ბრძანდებოდეთ

**ფრიდონ საყვარელიძე,**
პარლამენტის წევრი,
ფრაქცია „რესპუბლიკელები“.

# გვი-შვე-ლეთ!

ზუსტად ერთი წლის წინ, რესპუბლიკის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის განკარგულებით მოხდა ბუნების დაცვის საზოგადოების მუზეუმ-ლექტორიუმის შენობის (ი. ჭავჭავაძის გამზ. 35) რეკვიზირება, მასში თურქეთის საელჩოს განთავსების მიზნით. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, რეკვიზირება არის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ქმედება, უფრო ზუსტად კი მესაკუთრისათვის რაიმე ქონების იძულებითი ჩამორთმევა ღირებულების გადახდით. ამასთან, ვინაიდან ბუნების დაცვის საზოგადოების მუზეუმ-ლექტორიუმის შენობა საზოგადოებრივი საკუთრების ობიექტია და აშენებულია საზოგადოების საწევრო შენატანებიდან შეგროვილი თანხით — რეკვიზირება იყო ერთადერთი (თუნდაც ფორმალური) იურიდიული ნორმა, რომელიც რაღაცნაირად მაინც ამართლებდა მუზეუმ-ლექტორიუმის იძულებით ჩამორთმევას.

რაღაცნაირად იმიტომ, რომ მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი რეკვიზირების ჩატარების წესი, რაც უდაოდ ეჭვს ქვეშ აყენებს მის მართლზომიერებას. მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტრომ, განკარგულების პროექტის ვიზირების დროს, მაინც შესაძლებლად მიიჩნია რეკვიზირება ოღონდ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს მოხდებოდა „მესაკუთრისათვის სხვა იგივე ღირებულების ქონების გადაცემით ან რეკვიზირებული ქონების ღირებულების გადახდით“.

სამწუხაროდ, მაშინდელმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არასწორად შეისმინა ეს შეგონება. შედეგად, მარეკვიზირებელი განკარგულებით, გადმოგვეცა არა „იგივე ღირებულების ქონება“, არამედ იმავე რაოდენობის ფართი სამხედრო მუზეუმის შენობაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. 76). ამაზე ვინ ამოიღებდა ხმას, რომ სამხედრო მუზეუმის შენობა, მაგრამ, რომლის ნაწილი რეკვიზირებულის სანაცვლოდ გადმოგვეცა არ აღმოჩენილიყო (ჯერ კიდევ მარშანწინ) გადაცემული ბავშვთა ფედერაციაზე, რომელსაც ბატონი ზურაბ წერეთელი მესვეურობს.

აღსანიშნავია, რომ იმავე სამხედრო მუზეუმის შენობაზე პრეტენზიას აცხადებს აგრეთვე რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროც, რომელსაც ეს შენობა კიდევ უფრო ადრე ბალანსიდან-ბალანსზე გადასცა მისმა აღმშენებელმა — ამიერკავკასიის ყოფილმა სამხედრო ოლქმა. ამასობაში კი ბავშვთა ფედერაციამ, მოიგერია რა თავდაცვის სამინისტროს ყველა შეტევა, სამხედრო მუზეუმის შენობაში ჩაატარა მრავალ ათეულ მილიარდ კუპონად ღირებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები და აპირებს კიდევ უფრო კეთილმოაწყოს იგი. თავისთავადია, რომ სამხედრო მუზეუმის შენობაში ბუნების დაცვის საზოგადოებისათვის ადგილი აღარ რჩება; მით უფრო, რომ მარეკვიზირებელ განკარგულებაში საერთოდ არ არის განსაზღვრული თუ სად, რომელ სართულზე მოგვიჩინეს რეკვიზირებულის სანაცვლო ფართი; გაურკვეველია გადმოცემული ფართის საკუთრების ფორმა და მრავალი სხვა ანუ თავად განკარგულება არ არის იურიდიულად გამართული.

ასეთ პირობებში ბუნების დაცვის საზოგადოებას, სხვა არა დარჩენია რა, გარდა იმისა, რომ მოესინჯა სამართლებრივი გზით კანონიერების აღდგენის უკლებრივ ყველა შესაძლებლობა. კერძოდ, სასარჩელო განცხადებით შევედით სასამართლოში, რომელმაც არ მიიღო იგი იმ მოტივით, რომ არ არის სასამართლოს განსჯადი და მიგვითითა არბიტრაჟისაკენ. თავის მხრივ არც არბიტრაჟმა მიიღო ჩვენი სასარჩელო განცხადება იმ მოტივით, რომ „მთავრობის განკარგულებების გადასინჯვა არ არის არბიტრაჟის განსჯადი“.

მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს (მეორეჯერ), რომელმაც დაასკვნა, რომ „ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა რეკვიზირებას, არამედ საკუთრების უფლების შეწყვეტას მესაკუთრის თანხმობის გარეშე, რაც უფლებას აძლევს ბუნების დაცვის საზოგადოებას იდაოს სასამართლოს წესით“. კიდევ უფრო კატეგორიულია რესპუბლიკის პროკურატურის დასკვნა, რომელიც იმავე შინაარსისაა, მაგრამ თავისი ფორმით პროტესტის ტოლფასია. ანალოგიურია პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის დასკვნაც, სადაც მარეკვიზირებელი განკარგულება შეფასებული როგორც საერთოდ კანონშეუსაბამო. საკითხი შეისწავლა აგრეთვე პარლამენტის იურიდიულმა კომისიამ, რომელმაც მიუთითა მთავრობას, რომ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ბუნების დაცვის საზოგადოების დასკვნა დარჩა მხოლოდ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამით რომ არა გამოვიდა რა, შევეცადეთ საკითხი გადაგვეწყვიტა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან პირადი კონტაქტებით. ამ მიზნით თვეების მანძილზე ვმუშაობდით ბატონებთან გივი ბაკურაძესთან, იური შიუკაშვილთან, შოშე ნეფარიძესთან, გალდავასთან, ნამორაძესთან და სხვებთან. სამწუხაროდ, არც ამით გამოვიდა რაიმე. უარესიც, მათ კატეგორიულად გაგვიცხადეს, რომ დროა გამოვიდეთ საკუთარი შენობიდან, რამეთუ რეკვიზირება უკვე მოხდენილია და ფაქტია, ხოლო სამხედრო მუზეუმის შენობა, რომ დაკავებულია, ეს მათ არ ეხებათ. რაც შეეხება ბუნების დაცვის მუზეუმ-ლექტორიუმისათვის შესაფერისი ახალი შენობის გამოძებნას (რომელსაც ასე დაბეჯითებით ითხოულობს სახელმწიფოს მეთაური თავის მრავალრიცხოვან რეზოლუციებში), მათი განცხადებით ეს შეუძლებელია, ვინაიდან თბილისი გაყიდულია და თავისუფალი ფართობი (თვით უშიშროების სამინისტროსათვისაც კი) არ არსებობს.

მართლაც და „გასაოცარია, გასაოცარია, გასაოცარია“. მაშინ, როდესაც დედაქალაქის მერიაში დიდი ხანია ფუნქციონირებს არასაცხოვრებელი ფართობის განაწილება-აღრიცხვის სამმართველო, მინისტრთა კაბინეტში კი საქალაქო მეურნეობის განყოფილება (რომელთა ნებართვის გარეშე ჩიტიც კი ვერ დაიდებს თბილისში ბინას), დიდჩინოსან მოხელეთა ამდაგვარი განცხადება სხვა რომ არა იყოს რა, უხერხულია. მით უმეტეს, რომ ზემოთჩამოთვლილი ბატონების დიდი ნაწილი უწვეტად მუშაობდა პატიაშვილის დროსაც, ზვიადის დროსაც და ეხლაც უშფოთველად მუშაობს.

სწორედ ამდაგვარ დიდჩინოსან მოხელეთა ლოცვა-კურთხევით, უშუალო განკარგულებით პოლიციელთა 40 კაციანი რაზმი ღამით შეიჭრა და „აიღო“ ბუნების დაცვის მუზეუმ-ლექტორიუმის შენობა. მათივე ბრძანებით ბუნების დაცვის მუზეუმ-ლექტორიუმიდან სამხედრო მუზეუმის შენობაში ძალით გადაიტანეს ჩვენი საზოგადოების მატერიალური ფასეულობათა ნახევარზე მეტი და დაყარეს, იქ უპატრონოდ, რომლის დიდი ნაწილი შემდეგ დაიკარგა. მათივე განკარგულებით ბუნების დაცვის მუზეუმ-ლექტორიუმს დღესაც პატრულირებენ პოლიციელები, თუმცა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობენ საზოგადოების ქონების დაცვაზე. შედეგად, ამჟამადაც ყოველდღე იკარგება საზოგადოების აუდიო-ვიზუალური ტექნიკა, კონდიციონერები, მაცივრები და სხვა.

მას შემდეგ, რაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო გამოეძებნა ბუნების დაცვის მუზეუმ-ლექტორიუმისათვის შესაფერისი შენობა, მას, როგორც თავიდან აღინიშნა, დარჩა მხოლოდ რეკვიზირებული შენობის ღირებულების მესაკუთრისათვის ანაზღაურების შესაძლებლობა. მაგრამ როგორც ბატონმა ოთარ ფაცაციამ პირადად განგვიცხადა, სახელმწიფოს ამის შესაძლებლობა არა აქვს, მით უმეტეს რომ ბუნების დაცვის მუზეუმ-ლექტორიუმის შენობის საბალანსო ღირებულება მრავალ ასეულ მილიარდ კუპონს უტოლდება.

„ასეთ პირობებში სახელმწიფო მოხელე დაადგა მინიმალური წინააღმდეგობის გზას, თუმცა ჩვენი ღრმა რწმენით უზნეოს. უზნეოს იმიტომ, რომ სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციების დამოძღვრებით ისინი ცდილობენ ხელოვნურად შეამცირონ მუზეუმ-ლექტორიუმის ღირებულება და მისი ნაწილის ჩვენთვის, როგორც მესაკუთრისთვის, გადახდით მიიღონ რეკვიზირებული შენობის ღირებულების ვითომდა ანაზღაურება. ამით სახელმწიფო მოხელე ცდილობს როგორმე დაიკმაყოფილოს მორალური მოთხოვნილება, ამასთან, როგორც გვიმტკიცებენ, სამართალიც პურსა სჭამს“.

მაშასადამე, ყველა გზა მოჭრილია და საზოგადოება თავისი მუზეუმიანად ქუჩაშია დარჩენილი. ეს შეგრძნება კიდევ უფრო განგვიმტკიცდა საგარეო საქმეთა სამმართველოს — „დიპსერვისის“ წერილის შემდეგ, სადაც ისინი კატეგორიულად მოითხოვენ დავტოვოთ საკუთარი შენობა „1994 წლის 20 მარტამდე, ვინაიდან მასში თურქეთის მხარე იწყებს სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოებს“. თითქმის იმავდროულად, ბავშვთა ფედერაციამ წერილობით მოგვთხოვა სამხედრო მუზეუმის შენობიდან გავიტანოთ ჩვენი ინვენტარი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, იქ ძალით გაიტანა პოლიციამ.

სამწუხაროდ, დღეს მიმდინარეობს მთავრობისა და ბუნების დაცვის საზოგადოების ინტერესების პოლარიზების პროცესი. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მოხელეა; მოხელე, რომლისათვის მთავარია მხოლოდ ზემდგომის დავალების შესრულება ანუ ჩვენ შენობაში თურქეთის საელჩოს განთავსება. სხვა მას არ აინტერესებს. არადა, თუ მოისპობა ბუნების დაცვის საზოგადოების ქმედითობა, თუ განადგურდება რესპუბლიკაში ამ პროფილით ერთადერთი მუზეუმი ხომ დააკლდება ამით ქართველთა სამკვიდროს, ხომ გაღარიბდება სულიერი სამყაროს ის ნაწილი, რომელსაც ასე რუდუნებით ქმნიდნენ ნიკო კეცხოველი, ვასილ გულისაშვილი, თეოფანე დავითაია და სხვები. დავფიქრდეთ ამაზე ერისკაცებო, ნუ დაუპირისპირდებით ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ გამოსავალი (როგორც ეს არაერთხელ უთხოვია სახელმწიფოს მეთაურს თავის მრავალრიცხოვან რეზოლუციებში) არის. მარტო ჭავჭავაძის გამზირზე იმდენი კანტორა და მმართველობითი აპარატის შენობა დგას, რომ მუზეუმისათვის შესაფერისი შენობა ნამდვილად მოიძებნება; საჭიროა მხოლოდ მეტი სამართლებრივი ხედვა და თავის ცოტა უფრო მეტად შეწუხება.

მაშინ აღარ დაირღვევა არათუ ერთი ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების უფლებები; შეიქმნება ნათელი მაგალითი კანონის უზენაესობისა და ჩვენც ვირწმუნებთ, რომ მამათში ან ჯუგაანში დღეს დაჭერილი ბოროტმოქმედები ხვალ კვლავ გარეთ არ გამოვლენ და კვლავ არ ითარეშებენ, რამეთუ ამის გარანტი თავად აღმასრულებელი ხელისუფლება იქნება, რომელმაც წესრიგის დამყარება და თვითგანწმენდა საკუთარი თავიდან დაიწყო. მანამდე კი აღარ ვიცით „სად ვიჩივლოთ, რუსთაველი მკვდარია“. მანამდე, სასოწარკვეთილები და უკიდურესად გამწარებულები ზოგადად ვყვირით „გვი-შვე-ლეთ!“.

**ომარ ჯანელიძე,**
საქართველოს ბუნების დაცვის
საზოგადოების გამგეობის
თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალის პრესა

# სტუმრები ვართ თუ არა მამა-პაპათა მიწაზე?

**უკვე** მეექვსე წელია, რაც საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარეობს ანტიოსური პროპაგანდა. ობივატელს უნერგავენ აზრს, რომ „ოსი — სტუმარია", ასეა თუ არა ეს სინამდვილეში? ოსი ხალხის ისტორიაში შესწავლისადმი ინტერესი ბევრ რუსს და დასავლეთევროპელ მკვლევარს გამოუჩენია. მათი სახელები ფართოდ არის ცნობილი.

მივმართოთ ოსთა უფრო შორეულ წინაპრებს, რომლებმაც შემოგვინახეს მსოფლიოში სახელგანთქმული ყობანოთლიის-კოლხური კულტურა და რაც მთავარია, ისტორიული, კურთხეული მიწა, რომელზეც ჩვენ დღემდე ვცხოვრობთ.

ოსეთის მთიან ზონაში, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით ბევრია უძველესი დროის გამოცანები, მათ შორის არის ერთი, რომელიც გვაოცებს თავისი არაჩვეულებრიობით — ეს ყობანური კულტურაა. მას გაუსწორდა თლიის სამაროვანი და ამაში დიდია მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ბაგრატ ტეხოვის წვლილი. ამ სამაროვნებში ნაპოვნი მასალები ადასტურებენ ოსი ხალხის აქ ცხოვრების ფაქტებს უხსოვარი დროიდან. „ყობანური კულტურის არეალი მოიცავს ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთის, პიატიგორსკის ტერიტორიებს — მდინარე ყუბანის სათავეებიდან მდინარე არღუნამდე ალმოსავლეთით, სამხრეთ ოსეთის მთიან ზონას". გვატყობინებს ბაგრატ ტეხოვი. შემდგომში მეცნიერმა ეს დებულება კიდევ უფრო გააღრმავა ავტორიტეტულ გამოცემაში — „ოსთა წინაპრები, სკვითები და სარმატები, აგრეთვე მათი კიდევ უფრო შორეული წინაპრები ინდოირანელები ცხოვრობდნენ ყველგან, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში". სკვითური მატერიალური ძეგლების ყველაზე უფრო ინტენსიური გავრცელების ზონა მოიცავს ტერიტორიებს მდინარე არაგვიდან, მცხეთიდან სამხრეთ. ოსეთის რესპუბლიკის მთელს ტერიტორიას ქ. ონამდე. ცენტრით ცხინვალში. ეს ზონა ვრცელდება ქ. სოხუმამდე (კოდორი, ენგური, სიონამდე). როცა ასეთ რამეს კითხულობ, უნებლიედ გახსენდება სტრიქონები ცნობილი ხალხური სიმღერიდან, რომელიც ოდესღაც ოსებმა შეთხზეს ქართულ ენაზე, რათა მათ უკეთ გაეგოთ: „ოდელია დელია, მცხეთას აქეთ ჩვენია". სიმღერის აზრი და ჩვენს ერამდე VII–VI საუკუნის ამიერკავკასიის რუკის მონაცემები სინქრონულად ეხმაურება ბაგრატ ტეხოვის მიერ მიკვლეულ ყობანურთლიის კულტურის არქეოლოგიურ მასალებს.

ქართული წყაროების მიხედვით", სადაც 72—73 გვერდზე ვკითხულობთ „თვით ქართული ქალაქის ცხეთა (მცხეთის) დასახელება, რომელსაც მირიან მეფის დროს ახალ იერუსალიმს ეძახდნენ, წარმოშობილია ოსური სიტყვიდან „ციხაგთა" — ცხეთა (მუზობლები)". მაგრამ იყო კი ის ქართული ქალაქი? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყველაფერი ოსური ქართველების ენაზე მათებურად ჟღერს. გამოდის რომ ქართველების გამოჩენამდე ე. წ. საქართველოს ტერიტორიაზე დღევანდელი მცხეთა, როგორც ჩანს, უკვე იწოდებოდა ოსების მიერ „ცხეთად". ამასთან არქეოლოგიური გათხრებიდან და ზემოთ ნახსენები მეცნიერების ნაშრომებიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩვენს ერამდე VII საუკუნეში აქ უკვე ცხოვრობდნენ სკვითები, ე. ი. მაშინ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართული ქალაქი მცხეთა. ანალოგიურ ცნობას ვკითხულობთ თბილისზე ვ. ივანოვთან ჟურნალში „Техника молодежи" (№ 8. 1977 წ.). სტატია „След – свето – носных". „კიმერიულ-სლავური რაზმები თრაკიიდან და ბოსფორიდან შეიჭრნენ მცირე აზიაში, ხოლო რუსული ველიდან დარიალის ხეობით ამიერკავკასიაში. თბილ წყაროებთან, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით დააარსეს საყრდენი პუნქტი „ტეპლიცე", შემდგომში თიფლისი — (თბილისი). შემდეგ სლავები სამეგრელოში აშენებენ ციტადელს, რომელმაც მიიღო დასახელება — გორდი (გოროდ — გრად)".

შეიძლება იკითხონ, რაში გვჭირდება როგორ იწერება სხვისი ისტორია. როგორც უნდათ ისე „ასწორონ", მაგრამ საქმე იმაშია, რომ ახეთი ისტორიით ცდილობენ ოსთა ბედის გადაწყვეტა ჯულელი, გამსახურდია, შევარდნაძე და სხვები.

ი. დომანსკის სტატიაში ვკითხულობთ, რომ „გათხრებმა აფხაზეთში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში მოგვცეს მდიდარი კოლექცია ბრინჯაოს ნივთებისა, რომლებიც წააგავენ ყობანურს". აქვე იგი აგრძელებს „რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კავკასიიდან ერმიტაჟში შემოსული კოლექციებიდან ყველა გვუთვნის ყობანურკოლხურ კულტურას". ვის თუ არა ბაგრატ ტეხოვს უნდა სცოდნოდა ეს, მაგრამ იგი რატომღაც სდუმდა ყობანურ-თლიო-კოლხური კულტურის იდენტურობაზე. იმედია, ბაგრატ ბესარიონის ძე იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას.

შენ ოსეთო, უნდა ამაყობდე ჩვენი წინაპრებით, რომლებიც არიან შემოქმედნი უკვდავი და განუმეორებელი თლიიკოლხური კულტურისა, რასაც დღეს არქეოლოგები სკვითურ-ოსურს უწოდებენ. ეს მოგცემს შენ სიმართლეს საკუთარ თავზე, იმ კურთხეულ მიწაზე, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით, სადაც შენ ცხოვრობ უკვე სამი ათასი წელია. ნუ გაღელვებს ძვირფასო, რომ ბევრ წერილობით წყაროს ჯერ კიდევ გიმალავენ. მეცნიერ-არქეოლოგების მიერ შეგნებულად დაშვებული შეცდომები არ უნდა გიკვირდეს, ხომ ვიცით, რომ ე. წ. ქართულ მიწაზე მათ მხოლოდ ქართველი სპეციალისტები ახლდნენ. გავიხსენოთ, როგორი ზიზღით გვიხსენიებენ ისინი რუს და საზღვარგარეთელ მოგზაურებთან. ეს ალბათ იმისათვის, რომ ჩვენ აღრეულ ხანაში შევიფარეთ ისინი, მივეცით მიწა, დავიცავით.

გავიხსენოთ რაბინადრატ თაგორის სიტყვები, სადაც ის ამბობს, რომ ყველა ერივალდებულია გააცნოს მსოფლიოს ყველაფერი საუკეთესო რაც აქვს. რატომ ვართ ლოიალურნი, რატომ მივმართავთ საერთაშორისო სასამართლოს და უკვე მერამდენედ ვაძლევთ ქართველ ფაშისტებს უფლებას გვანადგურონ.

გავიხსენოთ დიდი კოსტა (ხეთაგუროვი) „ჩვენო ბელადო იჩქარე ჩვენსკენ — გვიხსენი დალუპვისაგან".

ჩერმენ ბაგათი

გაზეთი „იუჟნაია ოსეტია"

## მინაწერი

ეს სტატია, რომელსაც დიდი შემოკლებით ვბეჭდავთ, გამოქვეყნდა ცხინვალში გამომავალ გაზეთ „იუჟნაია ოსეტიაში", რომელიც მათი „რესპუბლიკის" ოფიციალურ ორგანოდ ითვლება. სტატიის ავტორის ვინაობა არაფერს ეუბნება ქართველ მკითხველს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ცალ ფეხთან ერთად თავიც ხისა აქვს და ეს იოლი შესამჩნევია ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში. არც გაზეთის ფართი, არც ამ ე. წ. სტატიაში მოყვანილი „ფაქტები" არ გვაძლევდა საშუალებას მთლიანად გადმოგვებეჭდა იგი, მაგრამ, რაც არის, როგორც იტყვიან, ნაღებია და დღევანდელ მდგომარეობაში მყოფი ქართული საზოგადოებისათვის შესახსენებლად იმისა, თუ ვისთან გვაქვს საქმე, კმარა. ერთი ჩერმენ ბაგაევი რომ ფიქრობდეს ასე, ღვთისა და გონიერი ხალხისაგან მივიწყებულ ოს ხალხში, აიტანდა კაცი ამას, მაგრამ ბაგაევებმა და იმ გაზეთის მეპატრონე-მესვეურებმა ისე მოწამლეს ადამიანები, ახლა მათ აღარც წინ არაფერი უნათებთ, აღარც უკან დასახევი გზა დარჩათ. მაშ საით? რომელ ბელადს უხმობს სტატიის ავტორი? კულუმბეგოვ-ჩოჩიევებმა უკვე მიატოვეს, რუცკოი-ჟირინოვსკებს რუსეთი უხდებათ თავსახლელი.

გაზეთ „საქართველოს" მკითხველისთვის ნერვების აშლა კი იმიტომ გადავწყვიტეთ — ერთად გვეძებნა მდგომარეობიდან გამოსვლის გზები. ჩვენდა საუბედუროდ ეს ხალხი ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობს და გვინდა თუ არ გვინდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ ამას. ბატონი ედუარდ შევარდნაძის მცდელობამ, როგორც ვხედავთ, შედეგი არ გამოიღო და მას ჯულელ-გამსახურდიასთან კონტექსტში იხსენიებენ. არც ქართული ინტელიგენციის ვიზიტებს (ვლადიკავკაზში) აქვს თვალშისაცემი წარმატება და არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან ეს უკანასკნელნი ორისამი წლის წინათ სხვა შინაარსის ლექციებით გვმოძღვრავდნენ, დღეს კი რაკიდა ქარმა სხვა მხრიდან წამოუბერა, სხვას ქადაგებენ. ასეთებისა არავის სჯერა და არც ოსებს მათ შორის. მაშ რა ვქნათ, რა ვუყოთ, იქნებ წამალი თბილისში მცხოვრებმა ოსებმა იციან, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტები აქვთ ცხინვალში დარჩენილ თანამოძმეებთან? ან იქნებ ჩვენი ხელისუფლების აპარატში მზადდება რაიმე რეცეპტი, რომელიც ამ, უკვე გაველურებამდე მისულ ხალხს უწამლებს. სხვანაირად რა შეიძლება ეწოდოს იმ აზრების ავტორს და მის მკითხველებს, რაც აქ ამოიკითხება? რა გზას დავადგეთ ჩვენ „სტუმრები" იბერია-კოლხეთისა? ერთი კია, მარტო ამ ხალხის ცოდვა მოსთხრის ჩვენს დიდ მეზობელს, მაგრამ მანამდე ჩვენ ყველა ერთად ვიღუპებით, ყველა ერთად მივდევთ მოუსავლეთის გზაზე მიმავალ იმპერიას და არც კაცი, არც ღმერთი არ არის მშველელი.

მერაბ მაისურაძე

# რუსების დასახლება კავკასიაში

**ბოლო** ხანებში საქართველოში მომხდარ ამბებში (მინაომი, აფხაზეთისა და შიდა ქართლის მოვლენები) არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა და ასრულებს რუსეთის სახელმწიფო. გთავაზობთ ჩვენი ახლო წარსულის ამსახველ მასალებს, საიდანაც ჩანს, თუ რა იყო „რუსეთის სახელმწიფოებრივი ამოცანები" კავკასიასა და საქართველოში. ეს ამოცანები, ჩვენდა სამწუხაროდ, დღესაც არ შეცვლილა.

**1892** წელს ექსპედიციამ რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის ა.ს. ერმოლოვის მეთაურობით მოიარა შავი ზღვის სოხუმისა და ბათუმის ოლქები.

ექსპედიციის წევრის სერგეი შარაპოვის აღწერილობის მიხედვით, სოხუმში ექსპედიციას პოლკოვნიკმა ბრაკერმა გაუმართა სადილი, რომელზეც იმავე შარაპოვის თქმით „ჩვენ შეიძლება გავცნობოდით ადგილობრივი წარჩინებულებისაგან შემდგარ საზოგადოებას, რომლებიც ფრიად ირეოდნენ თავიანთი ტიტულებითა და უპირატესობებით, მეტწილად გაცნობილნი იყვნენ ცხვირსახოცის დანისა და ჩანგლის ხმარებას, მაგრამ, საერთოდ მაინც საკმაოდ ველურები იყვნენ: ისინი გვარიანად ცხოვრობენ, მიუხედავად ყველა სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის კრიზისისა. უპირველესად, ისინი თითქმის არაფერს არავის არ უხდიან. მეორე, აქვთ რა ყველაფერი თავისი, კმაყოფილდებიან ძალიან მცირედით და ეწევიან ყველაზე პრიმიტიულ ცხოვრებას. მესამეც, თითქმის ყველას აქვთ მნიშვნელოვანი შემოსავალი ცხენის ქურდობისაგან".

ამ ბანკეტზე მრავალი სიტყვა ითქვა... „ლაპარაკობდა რამდენიმე აზიელიც, რომლებმაც თავიანთ ტკბილ სიტყვებში ჩაურთეს ზოგიერთი რუსული ყურისათვის უსიამოვნო ეკალი. ისმოდა აქაური თემა: „კავკასია კავკასიელებისათვის". მე — ამბობს შარაპოვი, გადავწყვიტე მეპასუხა, და ვითხოვე, რა სიტყვა, ვთქვი: მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ბრძოლისას, მიისწრაფვის, რა სამხრეთისაკენ, თბილი ცისა და თბილი ზღვისაკენ, რუსი ხალხი იღებს მსხვერპლს და, აი, ბოლოს აქვს მას ეს ცაც და ეს ზღვაც. **აქ ფრიალებს რუსული დროშა, და ლივლივებს რუსული არწივი. მაგრამ რატომაა რომ აქ რუსი კაცი ლაღად ვერ გრძნობს თავს. რატომაა, რომ ის აქ შევიწროებული, სულშეხუთულია? რატომაა უცხო ის აქ, ამ თბილ ნაპირზე, ამ კაშკაშა მზის ქვეშ?**

„ვფიქრობ იმიტომ, რომ რუსული სიკეთის წყალობით აქ, ამ მიწაზე, რომელიც რუსული სისხლითაა მოპოვებული, მოკალათდა ყოველგვარი უცხოტომელი, დასახლდა საუკეთესო ადგილებზე და არა მარტო ავიწროებს რუს ადამიანს, არამედ დასცინის მას. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით მხოლოდ, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვატომობრივი და სხვადასხვაეროვანი ნარევი და, რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს"

ამოკრებილია ს.ყაუხჩიშვილის ნაშრომიდან: „ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში", ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები ტ.მე-6, ქუთაისი, 1946 წ. გვ.134–135.

## რუსების დასახლება კავკასიაში

... **1899** წ. 15 აპრილის კანონით სახაზინო მიწებზე დასახლების უფლება მარტო რუსებს აქვთ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებენ... 1894 წ. სოხუმში პეტერბურგიდან ჩამოსულ მაღალხარისხოვან პირს პურმარილით შეხვდნენ ამ ოლქის მცხოვრები გლეხები. მან პურმარილი მხოლოდ რუსებისაგან მიიღო, მეგრელებს კი გამოუცხადა: ეს მიწა, თქვენ რომ სახლობხართ მე რუსებისთვის მინდაო. რამდენიმე წლის შემდეგ ადგილობრივ გაზეთში „ჩერნომორსკი ვესტნიკში" დაიბეჭდა წერილი, რომელიც ღაღადებდა, აუცილებელია ჩქარა დავასახლოთ რუსები შავი ზღვის პირს თორემ მეგრელები დაღუპავენ ამ წმინდა საქმეს.

„ცნობის ფურცელი", 1905 წ. N 2821.

ი. ვოსტორგოვის მოხსენებიდან:

— „**აფხაზები** მაღლა დგანან ამიერკავკასიის ყველა ხალხებზე, რადგან რუსულ ენას მალე, ძლიერ მალე ითვისებენ.და წმინდათაც ლაპარაკობენ ამ ენაზე".

„ცნობის ფურცელი", 1905 წ. N 2797

მოგვაწოდა ანზორ სიჭინავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიადი გარდაქმნა

ზბიგნევ ბზეჟინსკი

უკვე 4 წელია, რაც კომუნისტური სახელმწიფოს ნგრევამ პოლონეთში ბიძგი მისცა ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში კომუნისტური წყობილების კოლაფსს. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ხუთ წლიწადს აგონიზირებულ „პერესტროიკას“ მოჰყვა საბჭოთა სისტემის შიდა აფეთქება, თუმცა ჯერ ძალზე ადრეა იმაზე ფიქრი, თუ რა გაკვეთილი მივიღეთ ცდებიდან, რომლებიც მიმართული იყო პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი და ეკონომიკურად წარმატებული დემოკრატიის ასაშენებლად კომუნისტური სისტემის ნანგრევებზე.

მიმდინარე გარდაქმნამ წამოჭრა არა ერთი შეკითხვა, რომლებიც სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს. როდესაც გარდაქმნის პროცესში დაიწყო არ არსებობდა ძირითადი მოდელი, კონცეფცია, რომელიც ამოცანის გადაჭრასთან ახლოს მიგვიყვანდა. ეკონომიკურ თეორიას ჰქონდა პრეტენზია, რომ სწორად ესმოდა კაპიტალიზმის გარდაუვალი გადასვლა სოციალიზმში. მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობდა სტატისტთა სისტემის პლურალისტურ დემოკრატიაში გარდაქმნისათვის შესაბამისი თეორიული საფუძველი, რომელიც დაემყარებოდა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. გარდა იმისა, რომ ეს შემაშფოთებელია თავისი არსით, იგი იყო და რჩება პოლიტიკურად წამგებიანი, ვინაიდან დასავლეთი, რომლისთვისაც მოულოდნელი იყო კომუნიზმის ასეთი სწრაფი დეზინტეგრაცია, არ იყო სათანადოდ მომზადებული საბჭოური ტიპის სისტემების გარდაქმნისათვის. შედეგად, მისი პოლიტიკა უკანასკნელ რამდენიმე წლიწადს ნაჩქარევ იმპროვიზაციებს ემყარებოდა.

ამასთან დაკავშირებით მე შევეხები ოთხ მნიშვნელოვან საკითხს: პირველი, რა გაკვეთილები უნდა მივიღოთ იმ პოსტკომუნისტური პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესებიდან, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია? მეორე, რას ვისწავლით იმ დასავლური პოლიტიკისაგან, რომელიც გატარდა ამ გარდაქმნის დახმარებისა და ხელშეწყობისათვის. მესამე, პირველი ორი საკითხის შუქზე, რა რეზულტატებს შეიძლება ველოდოთ უახლოეს მომავალში — ათწლეულში — ამჟამად მიმდინარე გარდაქმნისაგან? მეოთხე, ყველაზე სპეციფიკური, კიდევ რა უნდა გააკეთოს შეერთებულმა შტატებმა დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით?

## გარდაქმნის პროცესი

გარდაქმნის პროცესის დიდი გაკვეთილებიდან უპირველესია, რომ ორივე მხარის მოლოდინი ძველი კომუნისტური სახელმწიფოებისა თუ დასავლეთისა იყო გაზვიადებული და საკმაოდ გულუბრყვილო. კომუნისტური სახელმწიფოების განთავისუფლებულ ხალხს მეტად მარტივი წარმოდგენა ჰქონდა დახმარების იმ სახეზე, რომლის მიღებასაც დასავლეთიდან ვარაუდობდა. ეს იყო ციდან მანანის ბურღულის მოლოდინი, მოლოდინი რაღაც ახალი „მარშალის გეგმისა“, რომელიც უმაღლეს დონეზე იქნებოდა მომარაგებული. თუმცა, არ იქნა გათვალისწინებული „მარშალის გეგმის“ გამოცდილებისა და ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოების ინტელექტუალურ-ისტორიული შეუსაბამობა. დასავლეთში კი არასწორად იყო გაგებული ის სისტემური კომპლექსურობა, რომელსაც ცვლილებები მოითხოვდა, ამჟამადაც არსებული და საკმაოდ გავრცელებული ნომენკლატურის წინააღმდეგობა და ბოლოს, თვით პროცესის ხანგრძლივობა და ვადები.

ყველაზე მწარე მაგალითი კი ის იყო, რომ ამერიკის პროგრამები, რომელიც ითვალისწინებდა დახმარებას პოლონეთისა და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებისათვის და მათი განხორციელება დაიწყო დაუყოვნებლივ 1989—90 წლების შემდგომ, დაფუძნებული იყო იმ წინაგაანგარიშებაზე, რომ გატარებული პროცესი დაახლოებით ხუთ წელიწადში დასრულდებოდა. 1) ახლა ჩვენ ვიცით, რომ ეს პროცესი ბევრად უფრო ხანგრძლივი იქნება — მინიმუმ 10 წელი ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის და შესაძლოა 15—20 წელი სხვა სახელმწიფოებისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი იმის თქმა, რომ გარდაქმნის პროცესი დასრულდა. (ვიღაცამ შესაძლებელია დაუმატოს, სხვათაშორის, რომ დასავლეთი ისევე ოპტიმისტური იყო თავის დახმარებაში გორბაჩოვის განზრახვებისა და პროგრამის მიმართ, როგორც გულუბრყვილო — რამდენადმე ჩვენ ზუსტად იგივე ტენდენციებს ვამჟღავნებთ ჩვენს დამოკიდებულებაში ელცინის მიმართ).

მეორე და ყველაზე რთული გაკვეთილია ის, რომ გარდაქმნის პროცესი თავისთავად არის არა გაგრძელება რამოდენიმე გამოკვეთილი ფაზისა, არამედ მათი თანმიმდევრობა. მეტიც, ყველა ყოფილი კომუნისტური სახელმწიფო როდია გარდაქმნის პროცესის ერთსა და იმავე ფაზაში. ისინი შესაბამის ფაზებს არც ერთნაირი ტემპით გადიან. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლის სიჩქარე განპირობებული იყო იმით, რაც პოლიტიკურად და ეკონომიკურად მხოლოდ კომუნისტური სისტემის ფინალურ სტადიაში გახდა ნათელი (აფეთქების წინ, მაგრამ, აგრეთვე მომწიფებისასაც).

ზემოაღნიშნული სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. პირველი კრიტიკული ფაზა, რომელიც კომუნისტური სისტემის დაცემას მოჰყვა შეიცავდა თავის თავში მცდელობებს პოლიტიკური ძალაუფლების უმაღლესი სტრუქტურების გარდაქმნისა და აგრეთვე ეკონომიკის საწყისი სტაბილიზაციისა. ეს გულისხმობს ერთპარტიული სახელმწიფოსა და პოლიციის სისტემის, სახელმწიფო დესპოტური კონტროლის გაუქმებას, პრესის თავისუფლების მიღწევას და ცვლილებებისაკენ მიმართული დემოკრატიული თანამშრომლობისათვის საფუძვლების ჩაყრას. ეს უკანასკნელი მოითხოვს სავალუტო კურსის სტაბილიზაციას, გამყარებას (სასწრაფო კრედიტებისა და დასავლეთიდან დახმარების მეშვეობით), მანამ, სანამ უქმდება კონტროლი ფასებზე და სუბსიდიები, სრულდება კოლექტიური წარმოება და ხორციელდება სტიქიური პრივატიზაცია. ეს საწყისი სტადია ყველაზე რთულია, ვინაიდან შეიცავს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ფუნდამენტურ ცვლილებებს. იგი მოითხოვს განსაკუთრებულ სიმამაცესა და გამბედაობას, უცნობისაკენ ულვისებური სისწრაფის ნახტომს.

პირველი ფაზა კრიტიკულია, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ მისი წარმატება აუცილებელი საწინდარია მეორე სტადიისათვის, რომელშიც ფართო პოლიტიკური სტაბილიზაციის საკითხი შერწყმული უნდა იყოს უფრო შესაფერის მცდელობებთან ეკონომიკური გარდაქმნის სფეროში. ახალი კონსტიტუციის და საარჩევნო სისტემის მიღებას, არჩევნების ჩატარებას, დეცენტრალიზებული რეგიონული მთავრობის შექმნას და სტაბილური დემოკრატიული კოალიციის შერწყმას — ახალ პოლიტიკურ ელიტას — მივყავართ იმ მომენტამდე, როცა საზოგადოება იმსჭვალება დემოკრატიზაციის პროცესებით, რომლებიც მიმართულია ჭეშმარიტად მომქმედი დემოკრატიის ჩამოყალიბებისაკენ. დღეს უნდა იქნას წამოწყებული ფართო ეკონომიკური გარდაქმნა. იგი უნდა შეეხოს, მაგალითისათვის, საბანკო სექტორის ჩამოყალიბებას, დემონოპოლიზაციას, მცირე და ფართომასშტაბიან პრივატიზაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება იურიდიულად ჩამოყალიბებულ უფლებებზე კერძო საკუთრების შესახებ. ამ სტადიაში დასავლეთს შეუძლია დახმარება ინფრასტრუქტურული პროექტების კრედიტების უზრუნველყოფით, ტექნიკური და სამენეჯერო ხელისშეწყობით, სავაჭრო უპირატესობებითა და შესაძლებლობებით, საწყისი უცხოური ინვესტიციებით.

მხოლოდ მაშინ, და თუ ეს ფაზა წარმატებით იქნება დასრულებული შეიძლება დაიწყოს მესამე, რომელშიც დემოკრატიული ინსტიტუტები და პროცესები ნამდვილად მოიკიდებს ფეხს, იმ დროს, როდესაც ეკონომიკური ზრდა გამაგრებული იქნება, როგორც შედეგი კერძო ინიციატივის ფართო გაშლისა. ამ ეტაპზე სტაბილური დემოკრატიული პარტიები წარმოქმნიან იურიდიულ და სამართლებრივ კულტურას. ეკონომიკაში ფართო მასშტაბის პრივატიზაციაა, ჩნდებიან კაპიტალიზმის პროპაგანდისტები და იწყება ანტრეპრენიორული კულტურის უპირატესობებით სარგებლობა. შემოდის დიდი რაოდენობის დასავლური ინვესტიციები და სახელმწიფო ერთვება დასავლური ორგანოების სისტემაში, ისეთში, როგორიც არის ეკონომიკური საზოგადოება და ჩრდილო ატლანტიკის კავშირი (ნატო). ეს მესამე ფაზა, შეიძლება ითქვას, შეიცავს პოლიტიკურ კონსოლიდაციასა და ხელს უწყობს ეკონომიკური ბაზის ჩამოყალიბებას. ყველაფერი. ეს რომ უფრო თვალსაჩინო გახდება, ვიღაცამ შეიძლება ისიც განაცხადოს, რომ პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი ამჟამად მესამე ფაზის დასაწყისთან დგანან. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ამ ფაზებიდან განპირობებული იყო კომუნისტური რეჟიმის განსაკუთრებული მარცხით, რომელმაც დაუშვა პოლიტიკური მოდუნება და ეკონომიკის ლიბერალიზაცია უკანასკნელ წლებში. საყურადღებოა, რომ კომუნიზმის ფინალურმა აგონიამ იმავე დროს ხელი შეუწყო, რამოდენიმე შემთხვევაში მაინც, პოსტკომუნიზმის აღმოცენებასთან ერთად მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩამოყალიბებას. ამ განვითარების შედეგები უნგრეთის შემთხვევაში (კადარის რეჟიმი 1970, 80-იან წლებში), პოლონეთის (გერეკის რეჟიმი 1970-იან წლებში და იარუზელსკი 80-იანი წლების მეორე ნახევარში) შემთხვევაში თავისთავად მეტყველია. მესამე გაკვეთილი, რომელიც ჩვენ ამ გარდაქმნის პროცესიდან უნდა მივიღოთ, არის ის, რომ პოლიტიკური რეფორმა ბაზისია ქმედითი ეკონომიკური რეფორმისათვის. დემოკრატიული პოლიტიკური კონსენსუსი და მძლავრი პოლიტიკური პროცესები აუცილებელია პირველი კრიტიკული სტადიის წარმატებითი წამოწყებისა და დასრულებისათვის. შესაძლებელია იმის თეორიული პოსტულირება, რომ პირველ სტადიაში დისციპლინა ავტორიტარულ სისტემას მოითხოვს, ვინაიდან ამ პერიოდის განხორციელება დიდ სოციალურ მსხვერპლს საჭიროებს. აქ აშკარად ჩინეთის მაგალითი გვაგონდება. თუმცა ცენტრალურ ევროპასა და საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის კოლაფსის დასაწყისში ასეთი ავტორიტარული მიდგომა არც შესაძლებელია და არც სასურველი.

პირიქით, დემოკრატიული კონსენსუსი აუცილებელი პირობაა. მაგრამ იგი უნდა იყოს ორგანიზებული, ჩამოყალიბებული ინსტიტუტის სახე ჰქონდეს. თავდაპირველად იგი ნამდვილად მოითხოვს ენერგიული, ჭეშმარიტად მომხიბლავი პოპულარული ლიდერის ჰაველის, ვალესას, შესაძლებელია ელცინის არსებობას, რომელსაც უნარი ექნება გამოიყენოს და მართოს ხალხის მხარდაჭერა. იგი აგრეთვე საჭიროებს პოლიტიკური მოძრაობის სწრაფ ორგანიზებას, რომელიც ხელს შეუწყობს ლიდერს და შესაძლებლობას მისცემს შეინარჩუნოს ხალხის მხარდაჭერა სოციალური ძვრებისა და გაჭირვების დროს, რაც ჩვეულებრივ გარდაუვალია ამ ფაზაში. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს საწყისი ფაზა თავისი ხშირი ეიფორიული პოსტკომუნისტური ენთუზიაზმით დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოყენებული, რათა საფუძველი ჩაეყაროს ლეგიტიმურ და ფორმალურ დემოკრატიულ პროცედურებს, რომელთა შიგნით უფრო ხანგრძლივი ეკონომიკური რეფორმებია გამიზნული. მეორე ფაზის დასაწყისისათვის საყოველთაო ეიფორია იკლებს, ხოლო გარდაქმნის გამოწვეული იმედგაცრუება, ჩანს, იზრდება. ამრიგად, ბევრია დამოკიდებული დემოკრატიული პროცესების მოქნილობაზე და უნარიანობაზე. რუსეთის მრავალი სირთულის საფუძველია ის, რომ გორბაჩოვმა და ელცინმა ვერ მოახერხეს ყოვლისმომცველი პოლიტიკური რეფორმის, როგორც სასწრაფო პრიორიტეტის აუცილებლობაზე ფოკუსირება.

ზემოაღნიშნულს მივყავართ მეოთხე გაკვეთილამდე: სწრაფი და ყოვლისმომცველი გარდაქმნა, შოკური თერაპია — ე. წ. „დიდი დარტყმის“ მიდგომისა — შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ორივე, აუცილებელი სუბიექტური და ობიექტური პირობები. პოლონეთის შემთხვევა ამ ორის შერწყმის საუკეთესო მაგალითია. ის მოიცავდა ფართონაციონალურ კონტრპოლიტიკურ ელიტას, კერძოდ, იმ სოლიდარობის მოძრაობას, რომელიც შეაღწევდა საზოგადოებაში, არ დაინგრეოდა სამხედრო კანონების დეკადის დროს და საუკეთესოდ გამოდგებოდა, როგორც ქმედითი პოლიტიკური ძალა ეროვნულ საკითხებში (რამოდენიმე სხვა შემთხვევაში მიჯაჭვული იყო რამოდენიმე დისიდენტებზე, რომლებიც მოულოდნელად მოექცნენ ეროვნული ძალაუფლების იერარქიის სათავეში). კიდევ მეტიც, ელიტას მხარს უჭერდა ისეთი მორალური ავტორიტეტი, რომელსაც შეეძლო ესაზრდოებინა მსხვერპლთშეწირვის სოციალური ნება-სურვილი, კერძოდ კი, კათოლიკური ეკლესია. დამატებით, მომხიბლავ ლიდერს, რომელიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენის წარმომადგენელთა შორის, შეუძლია პოლიტიკური ცვლილებების ერთპიროვნული მართვა. თავისუფალი გლეხობის კლასმა და ფართო ჩრდილოვანმა ეკონომიკამ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა მოთხოვნებისა და მომარაგების კოორდინირების კანონების მუ-

გაგრძელება მე 7-ე გვ.

ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან

# მეთაურის ვალი

როსტომ ჩხეიძე

თავის მოკვეთა თვისტომის ცხედარისათვის მარტოდენ შორეულ წარსულში არ დარჩენილა: ახალ დროშიც უნდა განმეორებულიყო და ამითაც გამოხატულიყო ეპოქისა და სახელმწიფო წყობის სისასტიკეც და ზნეობის წახდენაც.

ხელისუფლების მორჩილნი ცინიზმსაც არ ერიდებოდნენ: ჩვენიანებმა გვამები რად უნდა ათრიონ, ხალხის მტრებს ხან ვკლავთ და ხან სად და ნივთმტკიცებად თავიც საკმარისიაო.

აქამდე ამ მხრივ ყველაზე მეტად თორღვას ხეობის ტრაგედია იყო გახმაურებული, მაგრამ თანამედროვე საქართველოს იატაკქვეშა ისტორიის სულ უფრო მკაფიოდ წარმოჩენას ახალ-ახალი მნიშვნელოვანი რეალიები შემოაქვს ჩვენს ცნობიერებაში, — და გიზელის ტრაგედიასაც არანაკლები სიმძაფრით განგვაცდევინებს.

ამ ტრაგედიის გმირები ფიცხელაურთა ოჯახია და, უპირველესად, სტეფანე ფიცხელაური.

სტეფანეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომშიც მოუხდა მონაწილეობა და იქ აეხილა გონების თვალი: დაინახა, რა ყოფილა სინამდვილეში ეს ომი და საერთოდაც — რას წარმოადგენდა ის სახელმწიფო, მისი უბედური ქვეყანაც თავის საზღვრებში რომ მოექცია.

მიამიტი ჭაბუკის არსებაში ერთბაშად გადატრიალდა ყველაფერი და შინდაბრუნებულმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი გზა: საქართველოს ბედის ძებნა.

ამ ძებნამ გაიყვანა ტყეში.

სტეფანეა მოთავე მოხევეთა იმ ფარული ჯგუფისა, თავგანწირული ბრძოლა რომ გაუმართეს სატუსნაღო რეჟიმს დიდ პოლიტიკურ არენაზე არევ-დარევის ჟამს.

ამ ჯგუფში სამი მისი ძმაა.

სულ შვიდი ძმანი იყვნენ და როგორ უბედურად დაბრუნდა ყველას თავზე ბედისწერა.

მათ მამას ვახტანგს 1895 წელს ასული რომ შესძენია, მას მერე ერთხანს შვილი აღარ ეძლეოდა და ხატობას ვიღაც გახუმრებია როყიოდ. დეკანოზს ყური მოუკრავს და ვახტანგი დაულოცავს: ღმერთო, შვილები მიეცი. ლოცვას უკვალოდ არ ჩაუვლია და ფიცხელაურთა ოჯახს ვაჟი ვაჟზე ემატებოდა: სანდრო (დაიბ. 1902 წ.), ვასილი (დაიბ. 1905 წ.), სინიკო (დაიბ. 1907 წ.), სტეფანე (დაიბ. 1912 წ.), კოტე (დაიბ. 1915 წ.) და ლადო (დაიბ. 1918 წ.). ერთი ძმაც ჰყოლიათ, ვინც ბავშვობიდანვე დაღუპულა...

მერე ახლობელ-ჭირისუფალნი სინანულით იტყვიან: ნეტა დაეყოლებინა, კიდეც შეარჩინეო.

სანდრო მეორე მსოფლიო ომიდან ცალხელა დაბრუნდა, წისქვილის დოლაბმა ჩაითრია და დანაყა... ომში კოტეც მონაწილეობდა: დაწყებამ ჯარში ყოფნისას მოუსწრო, ტყვედ ჩავარდა და შტეტინის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა. შინ დაბრუნებას კი ეღირსა, მაგრამ ჯანგატეხილს მაინც ნაადრევად მოესწრაფა სიცოცხლე... ვასილი, სინიკო და ლადო სტეფანესთან ერთად შეეწირნენ საქართველოს გამოხსნისათვის გაბრძოლებას.

სტეფანეს საიდუმლო ჯგუფში მისი დისშვილიც ერია: შალვა წამალაიძე; კოლა ალიბეგაშვილი და კიდევ რამდენიმე მოხელე, აგრეთვე, რუსი ვასილ შიტოხინი (ალიბეგაშვილების სიძე) და ოსი ხაზბეჩირ ჯანტიევი.

სოფელ ჯუთას ზემოთ ერთი ასეთი ხეობაცაა: ჯვართ ხორხა — მთავარ ხეობას ახდევს გვერდით, და მას თუ გადაივლი, უკვე ქისტების სოფლები მოჩანს. იმ მიდამოებში აფარებდნენ თავს.

სტეფანეს შვილების ნახვა მონატრებია და ცოლისთვის შეუთვლია: აქ ერთ ქოხში ამოდით.

სხვათაშორის, მისი მეუღლე გვარად ხულელიძე ყოფილა: ეს ის გვარია, რომელსაც უნდა ატარებდეს ილიას „მგზავრის წერილების" განთქმული პერსონაჟი ლელთ ლუნია. „ლელთ" — როგორც დამაჯერებლად ამტკიცებენ მოხევენი — მხატვრული მიზნით შემოკლებული „ხულელთ" არის, რაც გულისხმობს ხულელიძეთა გვარის წევრს. აკი შემოკლება გრაფიკულადაც გამოხატა წერტილებით: „... ლელთ ლუნია" — ასე იხსენიებს ილია მოხევეს. თანაც ეს გვარი სოფელ გაიბოტენში მკვიდრობდა: და მოხევე ლუნიაც აკი ამბობს — გაიბოტნიდან ვარო.

მეუღლე გზას თითქოს მალულად გასდგომოდა, მაგრამ მოყურადეს თვალი მიუდევნებია და მილიციისათვის უცნობებია, მათაც კვალზე მისდიეს და ქოხს ალყა შემოარტყეს.

გოგონას ასე ჩარჩა ხსოვნაში ეს წუთები. მამა შინელზე იწვა და უეცრად ვილაცეებმა კარის შემოტვრევა სცადესო.

სტეფანე შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ თანამზრახველნი მოშორებით იყვნენ, ესენი კი ბევრნი: დაჭრეს და შეიპყრეს. სოფელ ახალციხეზე რომ ჩამოატარეს: წყალი, წყალიო — ივედრებოდა. იქ გათხოვილი ბიძაშვილი ეზოს კართან გამოეგება და რძე მიაწოდა, მაგრამ მილიციელებმა სათლი დაუქციეს. დაჭრილი მეამბოხე ქალაქ ორჯონიკიძეში ჩამოუყვანიათ და საავადმყოფოში დაუწვენიათ. სტეფანე ცოტა მომჯობინებულა თუ არა, იქ რაღას დაიცდიდა, ღამით 4 საათზე მეოთხე სართულიდან ზეწრების მეშვეობით ხეზე გადაცოცებულა და გამოქცეულა. მარტო ვერას გახდებოდა, სანიტარი რომ არ დახმარებოდა. ხევსურებს კი ცნობილი სტრიქონები ასე გადაუკეთებიათ:

„გაფრინდა ბიჭი სტეფანე,
ვერვინ მოჰკიდებს ხელსაო".

სტეფანემ თავის რაზმს აკითხა და, რაკიღა ჯვართ ხორხაში აღარ დაედგომებოდათ, ახლა ლარსის ტყეში გადაინაცვლეს.

მხოლოდ რამდენიმე ქალმა — მათი ოჯახის წევრებმა და, უპირველესად ნინო ფიცხელაურმა — იცოდა მათი ადგილსამყოფელი და მალულად უზიდავდა სანოვაგეს მეამბოხეებს, ვინც იქ გამოკეტვას სულაც არ ეგუებოდნენ და საიდუმლო ძაფების გაბმას ცდილობდნენ: ახლო-მახლოსაც, შორსაც... რამდენად მოახერხებდნენ, ეს სხვაა, ცდით კი ნამდვილად შეეცდებოდნენ. და, აი, მათზე ნაამბობში მოულოდნელად ამოტივტივდა პავლე ინგოროყვას სახელი, თანაც არა შემთხვევით პირთაგან:

ფიცხელაურთა გვარის მეორე განაყარი, ყაზბეგში მცხოვრები და, ესენიც ძმები — მიხეილი და გიორგი (გარკვეულად ჟორაც, მაშინ სრულიად ყმაწვილი) — ახალი თაობა იყო და შემდეგ ისინი ჩაებნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში: 9 მარტის ტრაგედიამ განსაკუთრებით გაუმძაფრათ პროტესტის განცდა; და საიდუმლო სტამბაც ამიტომ გამართეს ნათლისმცემლის გამოქვაბულში და რადიოგადამცემიც ამიტომ მოაწყეს. მათგან ორ ძმაზე სუკის საგამოძიებო ოქმებზე დაყრდნობით ნაამბობია შოთა ნოზაძის წიგნში „ტრაგიკური 9 მარტი", ოღონდ იქ აღნიშნული არ არის რადიოგადამცემის არსებობა, არადა ძმები „თავისუფლების ხმასთან" დაკავშირებასა და ცნობების მიწოდებასაც კი ახერხებდნენ. ეტყობა, გამოძიებისათვის დაფარული დარჩა მათი საქმიანობის ეს მხარე და მხოლოდ გადმოცემებმა შემოგვინახა.

გადმოცემამ შემოგვინახა მიხეილ ფიცხელაურის ნათქვამიც: ჩემს მოგვარეთა საიდუმლო რაზმი პავლე ინგოროყვასთან იყო დაკავშირებულიო. როგორ და რა გზებით, ეს მისთვის ცნობილი არ ყოფილა, მაგრამ პავლე ინგოროყვას სახელს დაბეჯითებით ახსენებდა.

რამდენად სარწმუნოა ეს აზრი, რამდენად შესაძლებელია, რომ პავლე ინგოროყვას ფარული ძაფები ჰქონოდა გაბმული მეამბოხეებთან, ან სულაც მათი უშუალო ხელმძღვანელი ყოფილიყო?

გულუბრყვილო მკვლევარისათვის ან სენსაციების მოყვარულისათვის ეს ეჭვშეუვალი ცნობა იქნებოდა და იქნებ წარმოსახვითაც შეევსოთ, როგორ მოხდა 1942 წლის შეთქმულების მიმართ, კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძეც რომ „დაუმტკიცეს" მეთაურებად; მაგრამ რამდენადაც ვიცნობ პავლე ინგოროყვას პიროვნებას საერთოდ და, კერძოდ კი, მის დამოკიდებულებას 40-იანი წლების პოლიტიკური მოვლენებისადმი, ასეთი აზრი დაუჯერებელი მეჩვენება.

როცა იმავე ხანებში ლევან გოთუამ შეუთვალა და სთხოვა, ჩემს საიდუმლო ორგანიზაციაში შენც გაწევრიანდიო, პავლე ინგოროყვამ — როგორც ლევან გოთუას დაკითხვის ოქმი ადასტურებს — არამარტო მტკიცე უარი განაცხადა, მასაც ურჩია, რომ ასეთ განზრახვაზე ხელი აეღო: ამ ომში გერმანია ვერ გაიმარჯვებს, მისი წარმატებები მალე აღიკვეთება და არაფრის იმედი არ შეიძლება ვიქონიოთ, ამბოხი ისევ შენს საზიანოდ შემოტრიალდებაო.

მაშ, მოხევეებს რატომღა წააქეზებდა?

მოსალოდნელია, რომ არც წაუქეზებია და მათი შემონათვალიც რომ გაეგო, დაუშლიდა შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

მაშ შემთხვევით ახსენა მისი სახელი მიხეილ ფიცხელაურმა?

შემთხვევით ალბათ არა: ეტყობა, ეს სახელი ხმიანობდა მოხევეთა რაზმში, ან მხოლოდ როგორც დიდი მამულიშვილისა, ანდა პირადადაც იცნობდა რომელიმე. იქნებ გზასაც ეძიებდნენ, თუ როგორ დაკავშირებოდნენ.

ასე რომ: პავლე ინგოროყვას სახელის ხსენება გულისხმობს მის პოპულარობას, გარკვეულ იდეურ ზეგავლენასაც მოხევეთა ამ რაზმზე; და არა მათ შორის რეალური კავშირის არსებობას...

ქალები მალულად უზიდავდნენ სანოვაგესო...

ეტყობა, ისეთი ფარული იყო ეს მიმოსვლა, კვალი ვერავინ აიღო და მილიცია და უშიშროების თანამშრომელნი ვერსაიდან მიუდგნენ, მაგრამ ბედმა მაინც უმუხთლათ.

სოფლებში უმეტესად ქალები, ბავშვები და მოხუცები იყვნენ დარჩენილნი და თიბათვის დრო რომ დადგა, რაზმელებმა გადაწყვიტეს ფარულად მიშველებოდნენ სოფლებს. ტყის ფერდობი ალაგ-ალაგ მოტიტვლებულია და სათიბებად დარჩენილი, გზიდან თუ სოფლიდან არა ჩანს, მარტოდენ — სასაფლაოდან, მთის წვერიდან რომ გადმოჰყურებს ამ მიდამოებს. ერთხელაც ვილაცას დაკრძალვა ყოფილა, რაზმელებმა ეს არ იცოდნენ და სათიბს რომ შეჰყოლიათ ჩვეულებისამებრ, საბჭოს თავმჯდომარეს მოუკრავს მათთვის თვალი და 60-მა შეიარაღებულმა კაცმა მალევე მოაყოლა ალყაში მეამბოხე მთიბავები.

სროლასა და აურზაურში სტეფანე, შალვა და ის რუსი შიტოხინი დიდტანიანი ხის ფულუროში შემძვრალან. ეტყობა, საკმაოდ გამოფულუროებულიყო, სამი კაცი რომ დაიტია. კოლა ალიბეგაშვილსაც მოუსწრია გადაჭრილი მორის ქვეშ შეძრომა. სხვები ყველა შეიპყრეს და გაილალეს. ამათ შეეძლოთ ეცლიათ და მერე ისევ ტყისათვის მიეცათ თავი, მაგრამ სტეფანე სხვაგვარი სულიერი წყობის პიროვნება იყო, ნამდვილი მეთაური, და გულმა არ მოუთმინა, რაზმელები მიეტოვებინა. მათგან სამი მიხივე რომ არც ყოფილიყო, მაინც ასე მოიქცეოდა, აბა, თავის მართლებას ხომ არ დაიწყებდა: რა ჩემი ბრალია, შემთხვევამ მიხსნაო. მართლაც შემთხვევამ უშველა, მაგრამ რაკიღა თვითონ აიყოლია სხვები, მოვალეობის შეგნება როგორ დაანებებდა, ისინი დაღუპულიყვნენ, თვითონ კი გადარჩენილიყო.

ბევრიც აღარ უფიქრია.

„მე უნდა გავიდე და ჩავბარდე" — უთქვამს დისშვილისათვის.

„მეც გამოვდივარ. სადაც თქვენ, მეც იქ": დისშვილიც რომ თავისნაირი ჰყავდა.

„არა, შენ აქ უნდა დარჩე".

„ვერ დავრჩები".

მეთაური უბრძანებდა. ბიძა ურჩევდა. მაგრამ რა ექნა: გულის კარნახს წინ ვერ აღუდგებოდა.

სტეფანე გამოვიდა სამალავიდან და ჩაბარდა.

შალვაც გამოყვა.

ის რუსი იქ დარჩა და უხიფათოდ გამოძვრა ფულუროდანაც და მთელი იმ ამბებიდანაც.

ძალაუნებურად იბადება ეჭვი: შეგზავნილი ხომ არ იყო, ანდა გამცემიო, მაგრამ მოხევეებს არც მაშინ და არც მერე მისთვის ასეთი რამ არ დაუწამებიათ. წლების შემდეგ ხშირად შეივლიდა ხოლმე ფიცხელაურების დარბეულ ოჯახში, მიჯდება სადმე კუთხეში და ტიროდა.

კოლაც გადარჩა: მორის ქვეშ დამალული. რამდენიმე ჩეკელი შემთხვევით ჩამომჯდარა სწორედ იმ მორზე, დაუსვენიათ, „მახორკაც" გაუბოლებიათ, ფეხებს თურმე გალურსული კოლას ცხვირწინ ათამაშებდნენ, მაგრამ შემთხვევით ვერ შეუმჩნევიათ, ისე წამოსულან. კოლა კიდევ დიდხანს წოლილა ასე, არა სჯეროდა, იღბალმა რომ იხსნა.

ოჯახის დიდედას — ფიცხელაურის დასა და შალვას დედას — სულ იმედი ჰქონდა, შეუძლებელია დაღუპულნი იყვნენ და დღეს არა, ხვალ გამოჩნდებიანო. ადამიანს არ შეუძლია ამ იმედს გამოეთხოვოს. მითუმეტეს, როცა ხან ვინ ჩამოუტანდა ამბავს და ხან ვინ — აქ უნახავთ, იქ უნახავთო: რომელიღაც ციხეში, რომელიღაც რეჟიმულ ბანაკში... ისიც [illegible] საც, შვილსაც... შვილ[illegible] ლი ბიძის საპატივსაცემოდ (და არა მოსაგონებლად) დაარქვეს: შალიკო...

ეს ის შალვა წიკლაურია, ვინც 30-იანი წლების დამდეგიდან ჩაებმის ეროვნულ მოძრაობაში (და ვის ნაამბობსაც ეყრდნობა ეს ჩანაწერები): მონაწილეობდა სანხერის წმ. ნინოს ეკლესიის გახსნაში, იატაკქვეშა სალვთისმეტყველო ჟურნალის გამოცემაში (გამოვიდა 11 ნომერი), თავისი წვლილი მიუძღვის ინგუშეთთან და დაღესტანთან სასიკეთო ურთიერთობის გაბმაში (მოგეხსენებათ: ამ ორ ხალხს მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთის ომის სახელით მონათლულ რუსულ ექსპანსიაში საქართველოს წინააღმდეგ), მიტინგებზე იქ გამოდიოდა სიტყვით, ჩვენში — ნაკლებად, მერაბ კოსტავასათვის კი არ შეეძლო გამოსათხოვარი სიტყვით არ მიემართა...

კუთხეში მიჯდებოდა და ტიროდაო...

იქნებ ფარისევლის ცრემლებიც იყო, მაგრამ არა: არავის გასჩენია მასზე ცუდი აზრი და შიტოხინის გარადჩენა, როგორც კოლა ალიბეგაშვილისა, ჩვენც იღბალს მივაწეროთ.

ათვალწუნებით უფრო იმ ოსს უყურებდნენ. გამცემობა არც მისთვის დაუბრალებიათ, მაგრამ ის კი არ ეეჭვებათ, რომ მერე გადაიბირეს: ცოცხალი ამიტომაც გადარჩაო. შეპყრობილთაგან კიდევ ერთიც გადარჩენილა. ეს ორნი მალევე გამოუშვეს. დანარჩენები კი დარიალს გადაღმა სოფელ გიზელში წაუყვანიათ, იქ ხელდახელოდ გაუსამართლებიათ (ოღონდ მისახვედრია, რანაირი სასამართლოც იქნებოდა!) და დახვრეტის განაჩენიც გამოუტანიათ.

იქვე აღასრულეს საჯაროდ.

ამას თავისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: გერმანელთა ჯარის ნაწილები მოახლოებულნი იყვნენ ამ სოფელს და ხალხის დასაშინებლად და გერმანელთა გასაფრთხილებლად ასე ამჯობინეს.

განაჩენის აღსრულების წინ ძმებს ჯალათებისათვის უთხოვიათ, იქნებ ჩვენი დისწული მაინც დაინდოთ და პატიმრობა აკმაროთო. მიხვდით ალბათ, ამას რაც მოჰყვებოდა: პირველად სწორედ შალვა დაცხრილეს ბიძების თვალწინ.

მერე მოუღეს ბოლო ყველას.

სტეფანეს თავი მოჰკვეთეს და გამარჯვების დაღად წამოიღეს.

ეს მოხდა 1942 წლის სექტემბერში.

ნახევარი წლის შემდეგ თორღვას ხეობაში განმეორდება თავის მოკვეთის ეს შემზარავი აქტი პატრიოტების მიმართ, ვინც ასე სახიერად შემორჩნენ ჩვენს ეროვნულ შეგნებას.

სტეფანე ფიცხელაურიც თავისი სახიერი და ტრაგიკული ბიოგრაფიით ჩვენი ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო სახელებს შორის დგება.

ისედაც კოლორიტული პიროვნება ყოფილა და, რა გასაკვირია, ბევრ ქალს რომ ჩავარდნოდა გულში მისი ტრფიალება. შურსაც იწვევდა და, გიზელში რომ არ დაეხვრიტათ, იქნებ ისედაც ვერ გადარჩენოდა ვილაცის მურდალ ხელს. ესეც ასეთ პიროვნებათა ხვედრია და ალბათ შემთხვევითი არ უნდა იყოს, სტეფანეს აღსასრული ბესიკ ხარანაულის ერთ პაწია ლექსს რომ წამოატივტივებს ჩემს გონებაში, მითუმეტეს, გარეგნული რეალიებით ასე ესადაგება იმ გარემოს:

ნისლს დაუძირავს მამკოდა,
უტირებია გულითა,
მე ისიც გამახარებდა
ზავი თუ გადაუვლიდა,
იქ მოკლეს დედიძმაჩემი
ლამაზი ტანის შურითა!..

# ბოლშევიკთაგან დევნილი ქართველები უცხოეთში

## „სადაურსა სად წაიყვან!..“

1993 წლის აპრილში პარიზში გარდაიცვალა სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი, ცნობილი პედაგოგი-ლიტერატორი, რომელიც გულმხურვალედ ემსახურებოდა ამ კეთილშობილ საქმეს თავის სამშობლოში — საქართველოში, და არასოდეს უფიქრია თავისი სამოღვაწეო ასპარეზის ძიება სამშობლოს გარეთ, მაგრამ იძულებული იყო, თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი ემიგრაციაში — საზღვარგარეთ გაეტარებინა.

მოსკოვში, ქალთა უმაღლესი კურსების დამთავრების შემდეგ, იგი თბილისში იწყებს მუშაობას პედაგოგიურ ასპარეზზე — ჯერ ვაუთა გიმნაზიაში, შემდეგ ქალთა გიმნაზიის დირექტორად, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ — მე-8 შრომის სკოლაში — ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა ქ-ნი სოფიო არა მარტო კოლეგებს შორის, არამედ მის მოსწავლეთა შორის. იგი ჭეშმარიტად მომხიბვლელი პიროვნება გახლდათ, ეს ხიბლი ქართულ პოეზიაშიც აისახა: კერძოდ, პოეტ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში. საინტერესოა, რომ ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში გამოფენილია ახალგაზრდა სოფიოს პორტრეტი, რომელზედაც წარწერილია: „სონა ჩიჯავაძე, ჩემი საუკეთესო ლექსები მას ეკუთვნის“.

საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მისი მეუღლის — ეროვნული პარტიის დამფუძნებლის, მისი ლიდერის სპირიდონ კედიას დაპატიმრებისა და საქართველოდან 1923 წ. გასახლების შემდეგ (იგი არ გაჰყვა მენშევიკურ მთავრობას), ქ-ნი სოფიო იძულებული იქნა დიდი მცდელობის შემდეგ 1928 წ. განშორებოდა თავის სათაყვანებელ სამშობლოს, გამოთხოვებოდა ახლობლებს და თავისი პატარა ქალიშვილით წასულიყო ემიგრაციაში მეუღლესთან, რომელსაც იგი მხნედ ედგა გვერდით და მასთან იზიარებდა ჭირსაც და ლხინსაც.

ნათესავებმა ასე დავკარგეთ სოფიო და მისი ოჯახი, მხოლოდ ყურმოკრული ცნობები თუ მოგვეპოვებოდა მათ შესახებ, სანამ ბ-ნ გურამ შარაძეს ნაყოფიერმა მოღვაწეობამ არ გამოამზეურა ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების ამბები, მათ შორის სპირიდონ კედიას ოჯახიც (იხ. გ. შარაძის „უცხოეთის ცის ქვეშ“). მოგვეცა საშუალება დავკავშირებოდით უკვე ას წელს გადაცილებულ მამიდას და მის ქალიშვილს თეოს (სპირიდონ კედია გარდაიცვალა 1967 წ.).

ემიგრაციაში ქ-ნ სოფიოს არ მოკლებია არც ოჯახური და არც საზოგადოებრივი ყურადღება, მაგრამ იგი მძიმედ განიცდიდა სათაყვანებელ საქართველოსთან — სამშობლოსთან განშორებას. მას ვერ დაუამებდა აფორიაქებულ სულს ვერც ის, რომ როგორც ჩვენი დიდი მწერალი გრ. რობაქიძე აღნიშნავდა: „სოფიო ჩიჯავაძეს ბაგეტკბილი ქართულით, პარიზში მყოფნი ქართველნი ტკბებიან“-ო („თავისუფლების ტრიბუნა“ №35, პარიზი, 1918 წ.), ვერც ის, რომ პარიზის მერიამ მას პარიზის საპატიო მოქალაქეობა უბოძა, დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ვერც სხვა ნიშნები მისდამი პატივისცემისა და სხვა და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელსაც იგი ეწეოდა.

ამ განცდებით განვლო მან თავისი სასიცოცხლო გზა და აღესრულა 108 წლისა (1993 წ. 21 აპრილს).

ასე განაგო წუთისოფელმა სოფიო ჩიჯავაძეს ბედი და თავისი საოცნებო სამშობლოს ნაცვლად, კახეთში დაბადებულმა ქალმა საუკუნო განსასვენი ჰპოვა უცხო მიწაში, უცხო ცის ქვეშ...

ჭეშმარიტად თქმულა წუთისოფელზე: „სადაურსა სად წაიყვან, სად ალუფხერი სადით ძირსა!“

სამშობლოსაგან მოწყვეტის სიმწარე, ქ-ნ სოფიომ ღრმად ასახა თავის მემუარებში „ასწლოვანე მატიანე“, რომელსაც 1990 წ. ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭა ქართულ ევროპული ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (პარიზი). სამწუხაროდ, იგი ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა.

გასული წლის სექტემბერში ამ ინსტიტუტის ჟურნალ „ივერია“ №2-ში დაიბეჭდა ამავე ინსტიტუტის ხელმძღვანელის ბ-ნ ჯანრი კაშიას წერილი ქ-ნ სოფიოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით („მდუმარებაში ნათქვამი“), სადაც მოყვანილია მისი მემუარების წინასიტყვაობიდან მეტად საგულისხმო ამონაწერი, რომელშიაც კარგად სჩანს ქ-ნ სოფიოს თვალსაზრისი სამშობლოსთან გენეტიკური კავშირის დიადი მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, სამშობლოს, წინაშე ჩვენი მოქალაქეობრივი ვალის შესახებ.

სწორედ სადღეისოდ ჩვენთვის ფრიად საგულისხმოა და დამაფიქრებელი ქ-ნ სოფიოს მოსაზრებები, რომლებიც მოჰყავს ბ-ნ ჯანრი კაშიას თავის სტატიაში: „ადამიანის ცხოვრება მცენარისას ემსგავსება: როგორც უცხო ადგილას დარგული ვარდი ვერ იხარებს, თუ მას მშობლიური ნიადაგი ხელოვნურად მაინც არ გაუჩინეს, ასეა ადამიანი უცხო ქვეყანაში ფესვებგამხმარი და მიფშვნეტილი.

უდიდესი წყევლაა და ღვთის რისხვა, თუ ადამიანმა თავისი სამშობლო დაკარგა, ის ველარსად ვერ გაიფურჩქნება, და არსებობა, თუნდაც იოლად გასული და დალხინებულიც კი, ფუჭი და სულიერ ძალას მოკლებული იქნება.

ჩვენ ყველანი წარსულთან ისეთი უხილავი ძაფებითა ვართ გადაბმულ-ჩაქსოვილნი, რომ მას ვერავითარი ძალა ვერც მოსპობს და ვერც შესცვლის. აი სწორედ ამით განსხვავდება ადამიანი პირუტყვისაგან.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც უცხოეთში ვარ, ჩემდაუნებურად, აქ ბევრი რამ არის გონების თუ თვალთახედვის საყურადღებო და მისაბაძი, მაგრამ ჩემი გონება ადვილად უსხლტება აქაურობას, წარსულში გადადის და თავსდება თავის არეში; მხოლოდ იქ პოულობს თავის მე-ს, საიდანაც მოაქვს სულიერი სიმშვიდე, ავიცა და კარგიც, ტკბილიცა და მწარეც, ერთი მეორეს რომ სცვლის“...

ქ-ნ სოფიოს ეს მოსაზრება ადამიანთა ორგანული კავშირის შესახებ სამშობლოსთან, უშუალოდ ეხმოვანება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, როცა ქვეყნის სადღეისო გასაჭირიდან თავის დაღწევის საშუალებად ზოგიერთებს მიუჩნევით სამშობლოდან სამუდამოდ გაქცევა და სხვა ქვეყნებში ბედნიერების ძიება (ავეჯიანად ჰყიდიან ბინებს). კომენტარს არ საჭიროებს, ისინი დამბრუნებლები არ არიან!..

ქ-ნი სოფიო გვაფრთხილებს, რომ ეს გზა არ არის სწორი — ჭეშმარიტი მამულიშვილის გზა, ეს საქვეყნო ინტერესებზე მაღლა, პირადული ინტერესების აღიარებაა.

ჩვენ, ჩვენივე ქვეყანაში უნდა ვეცადოთ ვიშრომოთ და ვიღვაწოთ სრული ძალისხმევით, თუკი გვსურს დავძლიოთ სატკივრები, რომლებიც აწუხებს ჩვენს სამშობლოს და არ გავექცეთ მათ.

ვის უნდა შევატოვოთ ჩვენი ქვეყნის ბედი? მას ჩვენ ყველამ უნდა ვუპატრონოდ... ყველამ აკეთოს საქმე, რომელიც მას ევალება, დიდია იგი თუ მცირე, მაგრამ აკეთოს სრული პასუხისმგებლობით და მონდომებით.

როგორც დიდი ილია აღნიშნავდა: „თვითონ საქმის მეტნაკლებობა აქ არაფერ შუაშია, დიდი თუ პატარა, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰკიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია“.

ნინო ჩიჯავაძე

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი

---

# დიადი გარდაქმნა

მეხუთე გვერდიდან

შობას მაშინ, როდესაც ფასებზე კონტროლი მოიხსნა და ხუფსიდიები შეწყდა. საბოლოოდ პოლონეთმა დიდი სარგებელი ნახა იმ ანტრეპრენიორული კულტურის მხარდაჭერიდან, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანა საზღვარგარეთ მცხოვრებმა ათ მილიონიანმა პოლონურმა დიასპორამ.

ამ ფაქტორების ჩამოთვლა ნათელყოფს, რომ პოლონეთის „დიდი დარტყმის“ მეთოდი სამაგალითო იყო, მაგრამ მრავალი თვალსაზრისით იგი გამონაკლისიც არის. მაშინ, როდესაც არ არსებობდა პოლიტიკური ერთიანობა, კავშირი, კონსენსუსი და კომპრომისების შესაძლებლობა, ეკონომიკური რეცეპტუალობა და პასუხისმგებლობა, შოკურმა თერაპიამ გამოიწვია პოლიტიკური კონფლიქტი და ეკონომიკური ქაოსი, თავისი წარმატებული, უპირატესობამოხვეჭილი მონოპოლიებით, რომლებიც სარგებლობდნენ ფასების ლიბერალიზაციით მხოლოდ იმისათვის, რომ გაეზარდათ ისინი, რითიც ხელს უწყობდნენ ინფლაციას.

მეხუთე და უკანასკნელი ზოგადი გაკვეთილი, რომელიც ეხება პოსტკომუნისტურ რეკონსტრუქციას ქვემოთაღნიშნულიდან გამომდინარეობს: არ უნდა გამოვრიცხოთ გარდაქმნის ისეთი სტრატეგია, რომელიც გულისხმობს საჭირო რამოდენიმე საფეხურზე შენელებულ სვლას და ემყარება თანმიმდევრულ სამთავრობო ხელისუფლებას უფრო, ვიდრე დამოუკიდებელი და დინამიური საბაზრო ძალების ამოქმედებას. აქ გვახსენდება გამოჩენილი იაპონელი ეკონომისტის, აწ განსვენებული საბურო ოკიტას გაფრთხილება. იგი დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ სამთავრობო ჩარევა აუცილებელია იმ ქვეყნებში, რომლებსაც აკლიათ თავისუფალი საბაზრო მექანიზმების ტრადიციები, გამოცდილება და შესაბამისი სოციალური კულტურა. მან ხაზი გაუსვა, რომ არსებობს საზოგადოებები, სადაც ისტორიული მიზეზების გამო აუცილებელია საბაზრო მექანიზმისა და სახელმწიფო დაგეგმვის შერწყმა, რადგან თავად საბაზრო მექანიზმი არ არის უზადო. იაპონიისა და კორეის მაგალითები ზედმიწევნით შეესაბამება ოკიტას მიერ განხილულ შემთხვევებს. 1993 წლის ზაფხულში მსოფლიო ბანკი ამთავრებდა ამომწურავ ანალიზს იმისა, რაც უკანასკნელ სამ ათწლეულში გამოიკვეთა შორეულ აღმოსავლეთში და რა გაკვეთილების მიღებაც შეიძლებოდა ამ გამოცდილებიდან. „Financial Times“-ის მიმოხილვის მიხედვით კორეის გამოცდილებასთან დაკავშირებით ბანკის ერთ-ერთი დასკვნა იყო: „... ადრე, 1960-იანი წლებიდან მთავრობამ დაგეგმა და უხელმძღვანელა ქვეყნის განვითარებას... (მან) გამოიყენა ფინანსური სექტორი იმისათვის, რომ კრედიტები მიეცა არჩეული სექტორისათვის და წინ წამოეწია ინდივიდუალური ფირმები, ნაციონალური ინტერესების დასაცავად. (მან) გასწია სოციალური რისკი; შექმნა დიდი კონგლომერატები, სახელმწიფო საწარმოები, თუ ეს საჭირო იყო და ჩამოაყალიბა კერძო საზოგადოებრივი პარტნიორობა, რომელიც მეტოქეობას უწევდა იაპონურს. 2) დაახლოებით იგივეს თქმა შეიძლება სინგაპურზე, რომელიც მიმართულდ, წარმატებული ზრდის მაგალითია. ყოველ შემთხვევაში ასეთი აზიური გამოცდილება არ უნდა იქნას უგულებელყოფილი, როცა ვფიქრობთ ისე მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ, სოციალურ დილემებზე, რომელთა წინაშეც დგას რუსეთი და უკრაინა, ქვეყნები, რომელთაც არა აქვთ თავისუფალი საბაზრო ტრადიციები და განვითარებული ანტრეპრენიორული კულტურა.

დასავლეთის პასუხი

ახლა ნება მიბოძეთ დავუბრუნდე მეორეს, იმ ოთხი მთავარი კითხვიდან, რომელიც დასაწყისში დაისვა: ასათვისებელი გაკვეთილები შეეხება პოსტკომუნისტური გარდაქმნისათვის გამიზნულ დასავლურ პოლიტიკას.

პირველი, რომ დასავლეთის დახმარება აუცილებელია გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე. ფაქტიურად მნიშვნელოვანი დახმარება დასავლეთიდან ძირითადია ამ სტადიის წარმატებული დასრულებისათვის. მოგვიანებით, როცა პირველი ეტაპი დასრულებულია, დასავლეთის ხელშეწყობა კარგავს თავის გადამწყვეტ მნიშვნელობას მაშინ, როდესაც დასავლური ბაზრისა და უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა სწრაფად იზრდება. ამ ბაზრების ხელმისაწვდომობა ძირითადი წყაროა საექსპორტო ეკონომიკის დინამიურობისა და შინაგანი ცვლილებების შემდგომი განვითარებისათვის. დღესდღეობით სწორედ ასეა საქმე. რაც შეეხება პოსტკომუნისტური ცენტრალური ევროპისა და ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობებს, ხმ შედეგით, რომ ამ „ხელმისაწვდომობის“ რეზულტატები უფრო საკამათო გახდა, ვიდრე „დახმარების“ მასშტაბები. ამის საწინააღმდეგოდ ყოფილი საბჭოთა კავშირი გარდაქმნის პროცესის კვლავ პირველ ფაზაში იმყოფება, როდესაც დასავლური დახმარება სტაბილიზაციისა და საწყისი პოლიტიკური გარდაქმნისათვის არსებითი და ძირითადია.

მეორე, და, ალბათ, უფრო საკამათოა, რომ კრიტიკული პირველი ფაზის შემდგომ უცხოური კაპიტალის შემოსვლა არ არის გადამწყვეტი. დასავლური კაპიტალი რომ წარმატების საწინდარი იყოს, მაშინ ყოფილი აღმოსავლეთ გერმანია უნდა ყვაოდეს, უნგრეთს უნდა ჰქონოდა ეკონომიკური აღმავლობა უკვე კარგა ხნის წინ, მას მოჰყოლოდა ჩეხეთის რესპუბლიკა, შემდეგ კი პოლონეთი. მეტიც, რუსეთი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, ვიდრე ჩინეთი.

ყოფილმა სამხრეთ გერმანიამ მიიღო დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, 100 მილიარდი დოლარის ოდენობით წელიწადში 16 მილიონიან მოსახლეზე (მხოლოდ გამოითვალეთ რა თანხა იქნებოდა საჭირო ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში კაპიტალის შესვლისათვის, მთლიანობაში ან, სპეციალურად რუსეთისათვის!), მაგრამ გადამწყვეტია ის, რომ ყოფილი გდრ კვლავ საყოველთაო საზოგადოებრივ-ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება. უნგრეთმა და ჩეხოსლოვაკიამაც უფრო დიდი რაოდენობით კაპიტალი მიიღეს, ვიდრე პოლონეთმა. მიუხედავად ამისა, პოლონეთს გააჩნია ფართო კერძო სექტორი და პირველია, იმ ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებს შორის, რომელმაც დადებით ეკონომიკურ ზრდას მიაღწია.

ჩინეთმა შედარებით მცირე მასშტაბის დახმარება მიიღო სუბსიდიების, სესხისა და კრედიტების, აგრეთვე ინვესტიციების სახით. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც 1979 წელს დაიწყო რეფორმები ჩინეთში, შესულმა თანხამ შეადგინა 60 მილიარდი დოლარი, მაშინ, როცა მისი მოსახლეობა სხვა სახელმწიფოებთან შედარებით არანორმალურად დიდია. ეს გაცილებით ნაკლებია იმაზე, რაც რუსეთმა 1986 წლის შემდგომ მიიღო — 86 მილიარდი დოლარი. მიუხედავად ამისა, ჩინეთმა მნიშვნელოვან ეკონომიკურ განვითარებას მიაღწია, უკანასკნელი დეკადის განმავლობაში კი მისი მაჩვენებელი წელიწადში 6%-ით იზრდებოდა, 1992 წელს კი — 9%-ით, 1993-ში შესაძლებელია 13%—იანი ზრდა. რუსეთი კი პირიქით, კვლავ ეკონომიკური ქრეულობის პერიოდშია, ზრდის მაჩვენებელი კი უარყოფითია.

გაგრძელება მე 8-ე გვ

მეშვიდე გვერდიდან

# დიადი გარდაქმნა

მოკლედ, პირველი ფაზის დასრულების შემდგომ, რომლის დროსაც საგარეო დახმარება ცენტრალურ როლს თამაშობს, შინაური პოლიტიკის ხასიათი, საზოგადოებრივი დისციპლინა და მოტივაცია ხდება უფრო მნიშვნელოვანი წარმატებისა ან ჩავარდნისათვის, ვიდრე გარეშე ეკონომიკური გარდაქმნის დროს.

მესამე გაკვეთილი, საგარეო კაპიტალის შემოსვლასთან დაკავშირებით არის ის, რომ ექსპლიციტური წინაპირობები და მკაცრი ზედამხედველობა მის გამოყენებაზე აუცილებელი პირობაა. ფაქტიურად, თუ არჩევანი იქნება გასაკეთებელი, საკმაოდ შეზღუდულ, მაგრამ კარგად მართულ ფინანსურ დახმარებასა და გ უმიზნავ, მაგრამ უცხოური კაპიტალის მნიშვნელოვან შემოსვლებს შორის პირველი აშკარად უფრო მომგებიანია და, ამდენად, მას უნდა უპირატესობა მიენიჭოს. ეს განსაკუთრებით გამართლებულია პირველ ფაზაში, ვიდრე ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები არ შეცვლიან საწყის დამოკიდებულებას პირდაპირ დახმარებაზე. ვაჭრობა და ინვესტიციები თითქმის ავტომატურად ექვემდებარება უფრო ქმედით კონტროლს პირადად დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან. როგორც, სამწუხაროდ, გამოცდილება გვიჩვენებს, უშუალო, გარეშე ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვან გადახრებსა და უცხოური დახმარების დიდ ძარცვა-დატაცებას უნდა ველოდოთ.

დასავლეთს უნდა კარგად გაეგო ეს, პოლონეთის გამოცდილებიდან გერეკის მმართველობის დროს. 1970-იან წლებში პოლონეთმა ისესხა 30 მილიარდამდე თანხა, თუმცა დღესაც გაურკვეველია რა დაემართა ამ ფონდებს. არანაკლებ სერიოზულია კითხვა, იმ 86 მილიარდი დოლარის ბედის შესახებ, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში შევიდა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში. სავარაუდო შეფასებებმა, რომლებიც აშშ-ში გაკეთდა დაადგინა, რომ 17 მილიარდს დოლარზე მეტი თანხა არ იქნა გამოყენებული წინასწარ განსაზღვრული მიზნებით და დაუბრუნდა დასავლეთის ბანკებს. მოსკოვში, არცთუ დიდი ხნის წინ, მე მოვახსენე არკადი ვოლსკის ამ გათვლების შესახებ. მან ღიმილით მიპასუხა, რომ ისინი აბსოლუტურად მცდარი იყო, განაცხადა, რომ მთლიანი დანაკარგი ყველაზე ნაკლებ 23 მილიარდს შეადგენს. ამ ცოტა ხნის წინ დასრულებულმა იაპონურმა გამოკვლევამ, რომელიც წარმოებდა 1993 წლის ივლისში, G–7 ტოკიო, Toray Corporate Business Research Inc..., აგრეთვე ამ რეზულტატებს მიაღწია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ რუსეთის მთავრობამ დაკარგა კონტროლი კაპიტალზე, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით ნაღდი ფული, ოქრო და ბრილიანტები აღმოჩნდა შვეიცარიის და ჰონგკონგის ბანკებში. გაუჩინარებული თანხების რაოდენობამ 40 მილიარდ დოლარს გადააჭარბა — დაადგინა შესწავლამ. 4) შესაძლებელია, რომ ეს შეფასება გაზვიადებული იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ თანხების უკანონო გამოყენება მეტად სერიოზული პრობლემაა.

შესაბამისად მიღწეულ უნდა იქნას დონორთა მხრიდან ზუსტი მიზნობრიობის განსაზღვრა და თანხების უშუალო კონტროლირება, თუნდაც ეს შელახავდეს მიმღების ეროვნულ სიამაყეს. ფულის მიმოქცევის სფეროს სტაბილიზაცია საბანკო სისტემის დეპოლიტიზება, დემონოპოლიზაცია, სულ მცირე საწყისი პრივატიზაცია (აგრარული სექტორის ჩათვლით), ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაცია არის ის მინიმუმი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქვს დასავლეთს, როცა გასცემს დიდ დახმარებას, მითუმეტეს, თუ ის ქმედითი აღმოჩნდა.

მეოთხე, დასავლეთმა უნდა ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს, რათა მათ შეიმუშაონ უფრო მობილური შეხედულებები, რომელთაც შეეძლებათ ქვეყნის შიგნით მხარდაჭერა გაუწიონ საჭირო მტკივნეულ რეფორმებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქნა საგრძნობი უცხოური დახმარება, მსხვერპლი და დიდი საზოგადოებრივი ტკივილი გარდაუვალია. აქედან გამომდინარე, უფრო პოზიტიური, იმედიანი, კონსტრუქციული სამომავლო პერსპექტივების ჩამოყალიბება პოლიტიკურად აუცილებელია. ხალხმა უნდა დაინახოს ამ ტკივილისა და მსხვერპლის გამართლება, მისი აზრი. ცენტრალური ევროპელებისათვის ასეთი აზრი უკვე არსებობს. ეს მოიცავს გაერთიანებული ევროპისა და მისი წევრობის ცნებებს. ასეთი ხედვა მეტად მნიშვნელოვანია საშუალო ჩეხის, უნგრელისა და პოლონელისათვის. ის წარმოადგენს სწორედ იმას, რასაც შეუძლიათ შეეხონ პირადად. ეს განცხადება უფრო რთული და ილუზორული ხდება, როდესაც სამხრეთისაკენ მივემართებით. რამ შეიძლება უზრუნველყოს მსგავსი წარმოდგენა უკრაინაში, რომელსაც დამოუკიდებლობის მხოლოდ ორი წლის გამოცდილება აქვს, ხოლო მისმა მოპოვებამ კი ქვეყანა დიდ სოციო-ეკონომიკურ სირთულეებში მოაქცია. რამ შეიძლება უზრუნველყოს ეს იმედი რუსეთში, სადაც, არა მხოლოდ საზოგადოებრივ-ეკონომიკური კრიზისია, არამედ იგრძნობა, რომ ქვეყანა დამცირებულია სუპერსახელმწიფოს სტატუსის დაკარგვით. ძნელია ასეთ ვითარებაში გაალვივო მომავლის რწმენა.

უკრაინელებისათვის, ალბათ, ეს იქნებოდა ოცნება სამშობლოზე, რომელიც დასავლელი მეზობლების მიერ მიღებულია, როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფო და ამდენად უკვე მიახლოებულია დასავლეთთან და თანამეგობრობის წევრია. ასეთი პერსპექტივა რასაკვირველია უფრო რეალური იქნება დასავლეთ უკრაინელებისათვის, ვიდრე სამხრეთელთათვის, მაგრამ ეს უფრო მიმზიდველია მათთვის, რომლებსაც უნდა თავიანთი ეროვნულობა განსაზღვრონ უკრაინის რუსეთისაგან განსხვავების გზით.

რუსებისათვის ალბათ მისაღებია მომავლის წარმოდგენა, რომლის თანახმადაც რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორია, მაგრამ თუ ეს სახელმწიფო უნდა იყოს შეერთებული შტატების პარტნიორი, ამერიკამ უნდა გამოხატოს თავისი დაჟინებული მოთხოვნა, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი გახდეს ნამდვილად პოსტიმპერიული რუსეთი, რადგანაც მხოლოდ ასეთ რუსეთს შეუძლია იყოს ჭეშმარიტად დემოკრატიული. საქმე ის არის, რომ რუსეთს ჯერ ისევ საკმაო მარძილი აქვს გასავლელი მტკივნეული პროცესების თანხლებით, რათა იგი შეეგუოს თავის ახალ პოსტიმპერიულ რეალობას. ეს არის პროცესი, რომელიც დამთავრდა ბრიტანეთისათვის ინდოეთის დაკარგვასთან ერთად, საფრანგეთისათვის — ალჟირის დაკარგვისას, თურქეთისათვის, როცა განისაზღვრა ცნება ახალი, თანამედროვე თურქეთის შესახებ ათათურქის დროს. პოსტიმპერიული თვითგამორკვევის პროცესი რთულია და მძიმე. ადვილი მისახვედრია, თუ რატომ არის ეს საკითხი გარემოცული დაპირისპირებებითა და გაურკვევლობით დღევანდელ განაწამებ რუსეთში. მაგრამ გამოსავალი უნდა ვეძიოთ.

სახეცვლილი მომავალი

პირველ ორ კითხვაზე პასუხების შუქზე რას უნდა ველოდეთ პოსტკომუნისტური გარდაქმნის უახლოეს მომავალში? უკვე შემოთავაზებული ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ გარდაქმნა ისევე იქნება განსხვავებული — დროში და ხასიათით — როგორც რთული. როგორი იქნება მთლიანი მოდელი? ჭეშმარიტად დგას თუ არა ყველა ყოფილი კომუნისტური სახელმწიფო პლურალისტურ და თავისუფალ საბაზრო დემოკრატიად გადაქცევის გზაზე?

ვიდრე მე გავბედავდე საკმაოდ საკამათო პირადი აზრის გამოთქმას ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ნება მომეცით შემოგთავაზოთ ოთხმაგი წინასწარმეტყველური სქემა.

პირველი კატეგორია მოიცავს ქვეყნებს ძირითადად დადებითი მომავალით, რაშიც იგულისხმება, რომ ეს სახელმწიფოებია, რომელთათვისაც დღეს მთლიანად გაუთვალისწინებული და შეუძლებელიც უნდა მოხდეს, რათა მათ გადაუხვიონ იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ისინი უნდა გარდაიქმნან პლურალისტურ დემოკრატიებად.

მეორე კატეგორია მოიცავს ქვეყნებს, რომლის პერსპექტივები შემდგომი ათი წლისათვის რამდენადმე უკეთესად გამოიყურება, მაგრამ რომელშიც შემობრუნება, პოლიტიკური ან ეკონომიკური კრახი არ არის გამორიცხული.

მესამე კატეგორიაში შედის ქვეყნები, რომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური მომავალი, ჩემის აზრით, ჯერჯერობით გაურკვეველია.

და ბოლოს, მეოთხე კატეგორია ძირითადად მესამის გაფართოებაა და მოიცავს ქვეყნებს, რომელთა მომავალი ამჟამად არაფერს გვპირდება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მე ჩავრთავდი პოლონეთს, ჩეხეთის რესპუბლიკასა და უნგრეთს, შესაძლებელია სლოვენიასა და ესტონეთს პირველ კატეგორიაში. ამათგან პირველი სამი, ალბათ, გახდება ევროპული თანამეგობრობისა და ნატოს წევრი ათწლეულის განმავლობაში. მიუხედავად მნიშვნელოვანი შიდა სიძნელეებისა მათი მომავალი უკვე განსაზღვრულია. თუმცა, უნგრეთსა და ესტონეთს შეიძლება შეეხოს გარეშე გართულებები (ვთქვათ, იგივე ეთნიკური პრობლემები). ნებისმიერ შემთხვევაში, პირველი სამი შეიძლება განვიხილოთ როგორც მესამე ფაზაში შესული ან ამ გზაზე მდგომი, მაშინ, როცა უკანასკნელი ორი მეორე ფაზაში იმყოფება. წამყვანი სამი სახელმწიფოს სავარაუდო წარმატებაც კი ვერ გააბათილებს იმ ფაქტს, რომ მრავალი წელი დასჭირდება უფსკრულის ამოვსებას, რომელიც მდიდარი დასავლეთის და მათი მეტად პერსპექტიული პოსტკომუნისტური მეზობლების ცხოვრების სტანდარტებს შორის არსებობს. დავუშვათ მაგალითად, რომ გერმანია და ავსტრია წელიწადში 2 -ით გაიზრდება, მაშინ, როდესაც პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია ორჯერ უფრო სწრაფად, 4 -ით, ჩეხოსლოვაკიას დასჭირდება 30 წელიწადი, უნგრეთს — 26, პოლონეთს — 63, რათა მიუახლოვდნენ შესაბამის დონეს. თუ ზრდა იქნებოდა 2 და 8 შესაბამისად საჭირო წლები მაინც იქნებოდა 12, 17 და 23 ცენტრალური ევროპის მოსახლეობისათვის. ნათელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის ქვეყნებისათვის ეს პერსპექტივები კიდევ უფრო ბუნდოვანია.

მეორე კატეგორია — ქვეყნები, რომელთა მომავალი დადებითია, მაგრამ რომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური შელახვაც ადვილია — მოიცავს სლოვაკიას, ხორვატიას (თუ ის არ იქნება ჩათრეული სერბებთან ახალ ომში), ბულგარეთი, შესაძლებელია რუმინეთი, ლიტვა, ლატვია, ყირგიზეთი და თურქმენეთი (ორი უკანასკნელი ადგილობრივი პოტენციალის გამო). ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ლატვია და ბულგარეთი შეიძლება უახლოვდებოდნენ მეორე ფაზას, მაგრამ დანარჩენები ჯერ ისევ პირველ ფაზაში დაცურავენ.

ქვეყნები, რომლებით მესამე კატეგორიაში შედიან, რომელთა ეკონომიკური და პოლიტიკური მომავალი ჯერ გადაუწყვეტი ჩანს ათწლეულის ან მეტი დროით — არის უპირველესად და უფრო მეტადაც რუსეთი და შემდეგ უკრაინა, ბელორუსი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და უზბეკეთი. და ბოლოს, ისინი, რომლებიც მეოთხე კატეგორიას განეკუთვნებიან, მათი მომავალი კი მიზეზთა გამო პირქუშად გამოიყურება, არის სერბია, ალბანეთი, მაკედონია, ბოსნია, მოლდოვა და ტაჯიკეთი. ზემოხსენებულიდან არც ერთზე არ ითქმის, რომ მათ საგრძნობლად წაიწიეს წინ პირველი ფაზის დასრულებისაკენ. უმეტეს მათგანს მართავს ყოფილი კომუნისტური ელიტა, რომელიც შენიღბულია ახალი იარლიყებით, მაგრამ, რომელთა პლურალისტური დემოკრატიის ერთგულება და მისი ნიუანსების შეგრძნება კვლავ ეჭვს იწვევს.

დასასრული შემდეგ ნომერში

## განცხადება

16 მარტს, ოთხშაბათს 16 სთ-ზე გაიმართება მთაწმინდის რეგიონალური სახალხო ფრონტის სხდომა. რეგიონის წევრთა დასწრება სავალდებულოა (მისამართი: თბილისი, ყაზბეგის ქ. №17)

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი
სარედაქციო საბჭო
გელა ებანოიძე
ხათუნა კვესელავა
რიმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 10000 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აბა“-ში
ტელ: 93-83-07, 29-49-60